FCTC



საქართველო
თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის ინდექსი 2023

საქართველო: თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის ინდექსი, 2023

ანგარიშის მომზადების დასრულების თარიღი: 22 აგვისტო, 2023

ავტორი:

გიორგი ბახტურიძე MD, MPhil, LLM, JDc, PhD
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა, ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ატლანტა, ჯორჯია, აშშ;
თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (FCTC) იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი, საქართველო.

ინგლისურიდან თარგმნა: **ნანა ფეიქრიშვილმა** MSc, MPhil
ანგარიშის ქართული ვერსიის რედაქტორი: **გიორგი მაღრაძე** MD, PhD

მადლიერება
ავტორი მადლობას უხდის ქალბატონ **ქერი უიტნის** აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC) ფონდიდან და დოქტორ **ლუსი პოპოვას** ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ღირებული კომენტარებისა და ანგარიშის გაუმჯობესებისთვის.

ასევე, თამბაქოს კონტროლში კარგი მმართველობის გლობალურ ცენტრს (GCGGTC), სარედაქციო რჩევებისთვის.

წინამდებარე კვლევითი პროდუქტი შეიქმნა კვლევითი პარტნიორობის მეშვეობით, რომელიც დაფინანსებულია თამბაქოს მოხმარების შემცირების ბლუმბერგის ინიციატივის (BI) მიერ, CDC ფონდის მეშვეობით Bloomberg Philanthropies-ის გრანტით.

ამ ანგარიშში მოცემული მიგნებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორ(ებ)ს და შესაძლოა არ წარმოადგენდეს CDC ფონდის ოფიციალურ პოზიციას.

ზოგადი მიმოხილვა და შესავალი

საქართველო არის ევროპული ქვეყანა 3,7 მილიონი მოსახლეობით,[1] რომელიც არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (WHO FCTC) წევრი 2006 წლის მაისიდან.[2] 2016 წელს საქართველოში მოწევის გავრცელება იყო 31% (57% მამაკაცებში და 7% ქალებს შორის).[3] თამბაქოს მოწევის შედეგად 2017 წელს სულ მცირე 11,400 ადამიანი დაიღუპა.[4]

საქართველომ შეასრულა WHO FCTC-ისა და მისი გაიდლაინების (სახელმძღვანელო პრინციპები) მოთხოვნების უმეტესობა 2017 წლის 17 მაისს (ამოქმედდა 2018 წლის 1 მაისიდან), როდესაც „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს მოქმედ კანონში განხორციელდა ყოვლისმომცველი ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები მოიცავს თამბაქოს სხვადასხვა ნაწარმის, მათ შორის ელექტრონული სიგარეტისა და თამბაქოს გასახურებელი პროდუქტების (HTP) მოწევის აკრძალვას ყველა ტიპის საჯარო ადგილას, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. გარდა ამისა, თამბაქოს ყველა სახის ნაწარმის რეკლამა, პოპულარიზაცია, სპონსორობა (TAPS) და გარე და შიდა ხილვადობა აკრძალულია.[5]

ამ ყოვლისმომცველმა ზომებმა გავლენა მოახდინა მოწევის გავრცელებაზე, რომელიც ზოგად პოპულაციაში 3%-ით შემცირდა, ხოლო 9%-ით მწეველებს შორის 2016-2019 წლებში. თამბაქოს ყველა ნაწარმის მოხმარების მოცულობა იმავე პერიოდში 15%-ით შემცირდა.[6]

საქართველო, ასეთი თვალსაჩინო ცვლილებებისა და წარმატებების შემდეგ, ევროპის რეგიონში თამბაქოს კონტროლის სფეროში წარმატებულ ქვეყნებს შორის მოხვდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ოფისმა მოამზადა სპეციალური დოკუმენტური ფილმი საქართველოს მხრიდან

---

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (GeoStat). (2023). *მოსახლეობა და დემოგრაფია*. ნანახია 2023 წლის 16 ივნისს: https://www.geostat.ge/en/modules/categories/316/population-and-demography

[2] United Nations. (2006). *4. WHO Framework Convention on Tobacco Control*. ნანახია 2023 წლის 17 ივნისს: https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IX-4&chapter=9&clang=_en

[3] დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC). STEPS კვლევა, 2016. ნანახია 2023 წლის 17 ივნისს: https://ncdc.ge/#/pages/file/4c558bf2-4b06-4fd6-a5af-5c98e85c321c

[4] დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC). (2018). *თამბაქოს პოლიტიკის საინვერსტიციო შემთხვევა*. UNDP. ნანახია 2023 წლის 17 ივნისს: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/publications/The_Case_for_Investing_in_WHO_FCTC_Implementationin_Georgia.pdf

[5] საქართველოს პარლამენტი. *„თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე,* 859-IIს. მიღებულია 2017 წლის 17 მაისს. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ნანახია 2023 წლის 18 ივნისს: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3676731?publication=2

[6] დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (CDC). თამბაქოს მოხმარება საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში (NATS): საქართველო, 2019. ნანახია 2023 წლის 18 ივნისს: https://www.ncdc.ge/#/pages/file/22c5e2c0-36d9-4a08-975c-03fa09d21c2e

თამბაქოს კონტროლის სფეროში მიღწევების შესახებ "Uphill Battle," რომელიც ასახავს ამ წარმატებას.[7] [8] თუმცა, ბრძოლა დღესაც გრძელდება, რადგან ეს ანგარიში აჩვენებს თამბაქოს ინდუსტრიის (TI) ზეგავლენებს ბოლო ორი წლის განმავლობაში. თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევა განსაკუთრებით გააქტიურდა 2017 წლის მაისიდან, ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის ყოვლისმომცველი ზომების მიღების შემდეგ.

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც საქართველოში თამბაქოს კონტროლის ყოვლისმომცველი ზომების მიღებას მოჰყვა, დაკავშირებულია ჯანმოს FCTC-ის 5.3 მუხლის და მისი გაიდლაინების შესრულებასთან. კერძოდ, საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ არ მიუღია 2018 წლის ივნისში მომზადებული და 2022 წელს განახლებული „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და შესრულების პროცესში, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის და საჯარო მოსამსახურის თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ" მთავრობის დადგენილების პროექტი. ამ შეფერხების მიზეზი არის თამბაქოს ინდუსტრიის ჯერ ჯიდევ ძლიერი ზეგავლენა მთავრობაზე.

2021-2023 წლებში, თამბაქოს ინდუსტრიამ ჩართო პოლიტიკოსები და ჯანდაცვის პროფესიონალები თამბაქოს ზოგიერთი პროდუქტის პოპულარიზაციაში „თამბაქოს ზიანის შემცირების" მარკეტინგული სტრატეგიის ფარგლებში. ასევე, თამბაქოს ინდუსტრიამ და მათმა მოკავშირეებმა გადაავადეს თამბაქოს ნაწარმის სადა შეფუთვის რეგულაცია და 2023 წლის 1 იანვრის ნაცვლად, იგი ძალაში 2024 წლის 31 ივლისიდან შევა.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის მონიტორინგის შედეგებს 2021 წლის აპრილიდან 2023 წლის აგვისტომდე პერიოდში. მთლიანობაში, მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ თამბაქოს ინდუსტრიას კვლავ აქვს ძლიერი ზეგავლენა საქართველოს მთავრობასა და პარლამენტზე. ქვემოთ მოცემულია თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის შემთხვევები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ WHO FCTC 5.3 მუხლისა და მისი გაიდლაინების განხორციელებაზე.

თამბაქოს ინდუსტრიის პროფილი და მარკეტინგი 2021-2023 წლებში

Euromonitor 2021-ის მონაცემებით, საქართველოში სიგარეტის ბაზრის წილის 40.8% ეკუთვნოდა Philip Morris International-ს (PMI), 21.7% British American

---

[7] The uphill battle: the story of Georgia's fight for a tobacco-free future. WHO, May 30, 2022. ნანახია 2023 წლის 18 ივნისს: https://www.who.int/europe/news/item/30-05-2022-the-uphill-battle--the-story-of-georgia-s-fight-for-a-tobacco-free-future

[8] გიორგი ბახტურიძე. თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის გავლენის შეფასება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ეკონომიკაზე. ნანახია 2023 წლის 18 ივნისს: https://test.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=92a34feb-3a6b-4895-b623-042279397f18

Tobacco-ს (BAT), 20.7% Japan Tobacco International-ს (JTI) და 6.7% Imperial Tobacco-ს (IT).[9] თამბაქოს ბაზრის თითქმის 90%-ს საქართველოში თამბაქოს ტრანსნაციონალური კომპანიები აკონტროლებენ (სურათი 1).

სურათი 1: თამბაქოს ინდუსტრიის ბაზარი საქართველოში, 2021



Source: Euromonitor, 2021

PMI-ის გავლენა საქართველოს ჯანდაცვის პოლიტიკაზე გაიზარდა აშშ-ის სურსათისა და წამლების ადმინისტრაციის (FDA) 2020 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების (IQOS-ისთვის, როგორც მოდიფიცირებული რისკის თამბაქოს პროდუქტის, მარკეტინგის ავტორიზაციის მინიჭებით) შემდეგ.[10] PMI-მ, FDA-ს გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღეს განაცხადა, რომ ის ქართულ ბაზარზე შემოიტანდა გასახურებელ თამბაქოს პროდუქტს „IQOS"-ს. PMI-მ გააგრძელა მისი გასახურებელი თამბაქოს პროდუქტის (HTP) უფრო ინტენსიური, აგრესიული და უკანონო მარკეტინგი (საქართველომ აკრძალა თამბაქოს რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის (TAPS) ყველა ფორმა 2018 წლის 1 სექტემბრიდან) 2021 წლიდან.[11] PMI იყო ერთ-ერთი გავლენიანი

[9] Euromonitor International, Ltd. 2021 Tobacco Market Research Data. ნანახია 2023 წლის 1 მაისს: https://www.portal.euromonitor.com/statisticsevolution/index

[10] U.S. Food and Drug Administration, FDA Authorizes Marketing of IQOS Tobacco Heating System with "Reduced Exposure" Information. July 07, 2020: https://www.fda.gov/news-events/press-announcements/fda-authorizes-marketing-iqos-tobacco-heating-system-reduced-exposure-information

[11] Forbes Georgia. "ფილიპ მორის საქართველო": IQOS-ი საქართველოს ბაზარზე ოფიციალურად შემოდის. 2020 წლის 24 ივლისი: https://forbes.ge/philip-moris-saqarthvelo-2/

ლობისტი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) მეშვეობით, რომლის წევრი ასევე არის JTI. [12] [13] [14]
PMI-მა ჩართო მათი ახალი მხარდამჭერი ჯგუფები, მათ შორის „სოციალური კვლევების ინსტიტუტი“ (ISR), რათა გაეგრძელებინა IQOS-ის პოპულარიზაცია.[15] ISR, ამ მიზნით, ზემოაღნიშნული პროდუქტის პოპულარიზაციაში, როგორც სპიკერი/ტრენერი/ორგანიზატორი, ჩართო ჯანდაცვის ყოფილი მინისტრები, ბ-ნი ანდრია ურუშაძე, ბ-ნი გიორგი (გიგი) წერეთელი (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე), ბ-ნი ზურაბ ჭიაბერაშვილი და ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილეები, ბ-ნი ლევან ჯუღელი, ბ-ნი ნიკოლოზ (კოკა) ფრუიძე, ბ-ნი ირაკლი გიორგობიანი.

ზოგიერთი ცნობილი ექიმი ასევე ჩართულია ISR-ის საქმიანობაში, თუმცა სამედიცინო პროფესიონალთა უმეტესობამ შეწყვიტა კონტრაქტი ISR-თან, როდესაც გაირკვა, რომ ამ ტრენინგების უკან თამბაქოს ინდუსტრია იდგა. 2021 წლიდან, ISR–ი უშუალოდ უწევდა ორგანიზებას ე.წ. „თამბაქოს ზიანის შემცირების“ სემინარებს/ტრენინგებს ოჯახის ექიმების, სტომატოლოგების (პარადონტოლოგთა ასოციაცია იყო მათი სემინარების თანაორგანიზატორი), ონკოლოგების, პულმონოლოგებისა და კარდიოლოგების მონაწილეობით. მათი ღონისძიებების ძირითადი გზავნილი იყო ექიმებმა ურჩიონ მწეველ პაციენტებს გადაერთონ სიგარეტიდან IQOS-ზე, როგორც „ზიანის შემცირების პროდუქტზე“.[16] [17] [18] [19] [20]

FCTC-ის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრმა საქართველოში აღმოაჩინა იმის პრეცედენტი, როდესაც თამბაქოს ინდუსტრიამ ჩართო ექიმები და ჯანდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები, რათა ხელი შეუწყონ „ზიანის შემცირების პროდუქტების“ გამოყენებას. FCTC-ის იმპლემენტაციისა

---

[12] საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წევრთა საია (BAG). ნანახია 2023 წლის 3 მაისს: https://bag.ge/en/33

[13] მაკა რუხაძე. ყველაფერი, რაც გასახურებელი თამბაქო IQOS-ის შესახებ უნდა იცოდეთ! რა მარკეტინგული ხრიკი აქვს „ფილიპ მორისს“. ახალი ვერსია, 2020 წლის 3 აგვისტო: http://versia.ge/index.php/versia/21-middle-east/4229-iqos

[14] Business Association of Georgia. Tobacco Tactics, updated July 7, 2023. Retrieved July 10, 2023: https://tobaccotactics.org/article/business-association-of-georgia/

[15] სოციალური კვლევების ინსტიტუტი (ISR), თამბაქოს ზიანის შემცირების გვერდი. ნანახია 2023 წლის 2 მაისს: https://www.isr.ge/tobacco-harm-reduction

[16] ინტერპრესნიუსი. ჩვენ ყოველთვის ღია ვართ დისკუსიისთვის - სოციალური კვლევის ინსტიტუტი საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს მიმართავ. 2021 წლის 19 ივნისი: https://bit.ly/46canHt

[17] მედიაჰოლდინგი კვირა. „თამბაქოს ინდუსტრიამ სამედიცინო პერსონალზე ნადირობა დაიწყო - ექიმების მოსყიდვას ცდილობს“ – „თამბაქოს კონტროლის ალიანსი“. 2021 წლის 28 ივნისი: http://kvira.ge/669131

[18] ტ/კ რუსთავი 2. საერთაშორისო კონფერენცია თამბაქოს ზიანის შემცირება: გამოწვევები და შესაძლებლობები 21-ე საუკუნეში. 2022 წლის 24 მაისი: bit.ly/3qu4aqf

[19] Business Media Georgia (BMG). გიორგი (გიგი) წერეთელი თამბაქოს ზიანის შემცირებაზე. 2022 წლის 25 მაისი. ნანახია 2023 წლის 20 ივნისს: https://www.youtube.com/watch?v=msDcV-OzTVg

[20] მაკა რუხაძე. ყველაფერი, რაც გასახურებელი თამბაქო IQOS-ის შესახებ უნდა იცოდეთ! რა მარკეტინგული ხრიკი აქვს „ფილიპ მორისს“. ახალი ვერსია, 2020 წლის 3 აგვისტო: http://versia.ge/index.php/versia/21-middle-east/4229-iqos

და მონიტორინგის ცენტრმა აღმოაჩინა თამბაქოს ინდსუტრიის უკანონო სპონსორობისა და მათი თამბაქოს გასახურებელი პროდუქტის უკანონო პოპულარიზაციის ფაქტები და რეაგირებისათვის მიმართა შესაბამის აღმასრულებელ ორგანოებს სამართლებრივი ქმედებებისთვის. [21]

უკრაინულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "ჯანსაღი ინიციატივა", რომელიც დაფინანსებას იღებს PMI-ის მიერ დაფინანსებული „მოწევისაგან თავისუფალი მსოფლიოს“ ფონდიდან (FSFW), დააფინანსა ქართველი ეკონომისტი ბ-ნი გიორგი მჟავანაძე, რათა მოემზადებინაა ანგარიში საქართველოს შესახებ. მან შეაფასა თამბაქოს კონტროლის არსებული პოლიტიკა და დაადგინა დაინტერესებული მხარეები, რომლებიც "დადებითად არიან განწყობილნი" თამბაქოს ზიანის შემცირების“ პროდუქტების მიმართ, როგორიცაა HTP (გვ. 36-37) (ცხრილი 1).[22] მან ასევე გააკეთა სპეციალური პრეზენტაციები იმავე ფონდის მიერ დაფინანსებულ ვარშავაში გამართულ ორ საერთაშორისო შეხვედრაზე.[23] [24]

ცხრილი 1. თამბაქოს ინდუსტრიის მხარდამჭერი პოლიტიკოსები, ბიზნეს და მედია ორგანიზაციები საქართველოში

პარლამენტის წევრები	ბიზნეს ასოციაციები	მედია
ბ-ნი ირაკლი მეზურნიშვილი; ბ-ნი სულხან მახათაძე; ბ-ნი ირაკლი (დაჩი) ბერაია; ბ-ნი დავით სონღულაშვილი; ბ-ნი ზურაბ მაჭარაშვილი	საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (BAG); საერთაშორისო სავაჭრო პალატა; ქართულ მაღაზიათა ასოციაცია	ბიზნეს მედია საქართველო (BMG); ჯორჯია თუდეი (Georgia Today)

Recourse: Healthy Initiatives. Georgia, country report. December 2021: bit.ly/3XQLDRh

BMG მაუწყებლობს ტვ “პირველზე”, რომლის მფლობელი საქართველოს თამბაქოს მწარმოებელი კომპანია „პირველის“ ყოფილი მფლობელის ავთანდილ წერეთლის ვაჟია, რომელიც ფულის გათეთრების სკანდალში იყო ჩართული, როდესაც ის ფლობდა ამ ადგილობრივ თამბაქოს საწარმოს.[25]

2020 წლის ბოლოსთვის BAT-მა განაცხადა, რომ ხურავს თავის მარკეტინგულ ოფისს საქართველოში თამბაქოს ნაწარმის მარკეტინგის აკრძალვის გამო.[26]

---

[21] თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (FCTC) იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოში. 2023 წლის 2 მაისით დათარიღებული წერილი.

[22] Giorgi Mzhavanadze.Georgia – country report. Healthy Initiatives, December 2021: https://www.smokefreeworld.org/wp-content/uploads/2021/12/Georgia_country_report_3.21.22.pdf

[23] Healthy Initiatives. Global Forum on Nicotine, June 16-18, 2022. Warsaw, Poland/Virtual. ნანახია 2023 წლის 20 ივნისს: https://hi-ua.org/tpost/duxayr92j1-global-forum-on-nicotine-june-16-18-2022

[24] Healthy Initiatives. Forum: “Science and Tobacco Control in Eastern Europe”, June 20, 2023. Warsaw, Poland. ნანახია 2023 წლის 12 ივლისს: https://hi-ua.org/tpost/k98bhlsl61-warsaw-public-event-on-science-and-tobac

[25] ტაბულა. ტვ პირველის დამფუძნებლის მამას, ბიზნესმენ ავთანდილ წერეთელს ბრალი წარუდგინეს. 2019 წლის 22 აგვისტო: https://tabula.ge/ge/news/629751-tv-pirvelis-dampudzneblis-mamas-biznesmen

[26] ბიზნეს ფორმულა TV. BAT საქართველოში წარმოამდგენლობას აუქმებს. 2021 წლის 19 იანვარი: https://www.facebook.com/FormulaBusiness/videos/741969993361082

თუმცა, BAT-ის მარკეტინგის ყოფილი ხელმძღვანელი ზვიად სხვიტარიძე აგრძელებს თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების ლობირებას, როგორც ეკონომიკური და იურიდიული ექსპერტი და ასევე ინტენსიურად იყენებს BMG არხს.[27] JTI-ის მხრიდან ლობისტი არის ამ კომპანიის წარმომადგენელი ივა ხასია, რომელიც ასევე მანიპულირებს შეცდომაში შემყვანი ინფორმაციით სხვადასხვა მედია არხებით, ძირითადად BMG-ის საშუალებით.[28]

ელექტრონული სიგარეტისა და ვეიპის ბაზარი საქართველოში მკვეთრად გაიზარდა, ძირითადად ახალგაზრდების ხარჯზე. FCTC IMCG-ის მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა გამოავლინა ასეთი პროდუქტების უკანონო ხილვადობის, რეკლამირებისა და პოპულარიზაციის რამდენიმე ასეული ფაქტი სავაჭრო ობიექტებსა და ინტერნეტში. შესაბამისად, თამბაქოს ინდუსტრია უკანონოდ უწევს პოპულარიზაციას მათ პროდუქციას.[29] ელექტრონული სიგარეტების უკანონო პროპაგანდაში მონაწილეობენ ცნობილი საჯარო პირები და ცნობილი სახეები, რაც ასევე აკრძალულია თამბაქოს კონტროლის რეგულაციებით.[30]

შემოსავლების სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ელექტრონული სიგარეტების/ვეიპების მოხმარების მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითებს. 2020 წელს შემოსავლების სამსახურმა ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ელექტრონული სიგარეტის სითხეებისათვის 41,000 აქციზური მარკა გასცა. ეს რიცხვი 2021 წელს 979,000 მარკამდე გაიზარდა, რაც 24-ჯერ მეტია. 2022 წელს ადგილობრივი მწარმოებლებისთვის გაცემული მარკების რაოდენობა 559 000-მდე შემცირდა. თუმცა, იმპორტიორებმა 2022 წელს განახორციელეს 3,913,000 მარკის შეძენა, რაც 2021 წელთან შედარებით წარმოადგენს ელექტრონული სიგარეტების/ვეიპების ბაზრის მნიშვნელოვან ზრდას. კერძოდ, 2022 წელს ამ პროდუქტის ბაზარი 4,5-ჯერ გაიზარდა.[31]

სამწუხაროდ, თამბაქოს ინდუსტრიას შეუძლია თავისი ნაწარმი გაყიდოს თვითღირებულებაზე დაბალ ფასად. ეს შესაძლებელი გახდა თამბაქოს ინდუსტრიის საკონტიტუციო სარჩივრის დაკმაყოფილების შემდეგ. კერძოდ, BAT-მა 2017 წლის 17 მარტს N 876 კონსტიტუციური საჩივარი შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საჩივარი ეხებოდა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით

---

[27] ბიზნეს მედია საქართველო (BMG). ინტერვიუ ზვიად სხვიტარიძესთან, BAT-ის მარკეტინგის ყოფილ დირექტორთან. ნანახია 2023 წლის 2 მაისს: https://bm.ge/ka/topic/zviad-sxvitaridze/3940/1/

[28] ბიზნეს მედია საქართველო (BMG). ინტერვიუ ივა ხასიასთან, JTI-ს წარმომადგენელი. ნანახია 2023 წლის 2 მაისს: https://bm.ge/ka/topic/iva-xasia/10561/1/

[29] თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (FCTC) იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოში. 2023 წლის 1 მაისით დათარიღებული წერილი.

[30] საქართველოს პარლამენტი. *„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე,* 859-IIს. მიღებულია 2017 წლის 17 მაისს. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ნანახია 2023 წლის 18 ივნისს: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3676731?publication=2

[31] შემოსავლების სამსახური. ინფორმაცია გაცემული აქციზური მარკების რაოდენობის შესახებ. ნანახია 2023 წლის 5 მაისს: https://old.rs.ge/5905

გათვალისწინებულ თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციის აკრძალვის კონსტიტუციურობას მეწარმეობის თავისუფლებისა და მონოპოლიის აკრძალვის ნორმასთან მიმართებაში.[32]

2022 წლის 20 მაისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა BAT-ის საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება: „საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის სიტყვების „ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მართლზომიერი ეკონომიკური ინტერესის არსებობისას კრძალავს თამბაქოს ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის მიერ ამავე ბაზარზე მოქმედ მეორე ეკონომიკურ აგენტზე თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციას“.[33] [34] ეს გადაწყვეტილება თამბაქოს ინდუსტრიას საშუალებას აძლევს გაყიდოს თავისი პროდუქცია მის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად.

თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის გლობალური ინდექსის ქულები ყოველწლიურად ქვეყნდება თამბაქოს კონტროლის კარგი მმართველობის გლობალური ცენტრის მიერ.[35] საქართველოს ჰქონდა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის გლობალური ინდექსის მაჩვენებელი 2020 წელს (ქულა: 77; 54-ე ადგილი 57-დან), 2021 წელს (ქულა: 80; 76-ე ადგილი 80-დან) და 2023 წელს (ქულა: 83).[36] მაღალი ქულები ნიშნავს, რომ თამბაქოს ინდუსტრია სერიოზულ გავლენას ახდენს საქართველოში სახელმწიფო ორგანოებზე და 2023 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა 2020 და 2021 წლებში გამოცემული ანგარიშების შემდეგ.

ამ გამოწვევებზე რეაგირებისთვის და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის FCTC 5.3 მუხლის განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს სამთავრობო დადგენილების პროექტი „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და შესრულების პროცესში, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის და საჯარო მოსამსახურის თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ“. საჭიროა თამბაქოს ინდუსტრიაში ჩარევის მუდმივი მონიტორინგი თამბაქოს

---

[32] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. „ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ“ საქართელოს პარლამენტის წინააღმდეგ. გადაწყვეტილება N 1/2/876, 2022 წლის 20 მაისი: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13633

[33] იქვე

[34] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N 1/2/876, 2022 წლის 20 მაისი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5470473?publication=0

[35] Global Center for Good Governance in Tobacco Control. The Global Tobacco Industry Interference Index. ნანახია 2023 წლის 10 ივნისს: https://globaltobaccoindex.org

[36] Global Center for Good Governance in Tobacco Control. Global Tobacco Interference Scores – GEORGIA, 2020, 2021, 2023: https://globaltobaccoindex.org/country/GE

კონტროლის კანონმდებლობისა და პროგრამების გაძლიერების გზით. ასევე, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღები და პოლიტიკის შემმუშავებელი პირების, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარება.

თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის ანგარიში ეფუძნება კითხვარს, რომელიც შემუშავებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თამბაქოს კონტროლის ალიანსის მიერ. ინდექსი მოიცავს 20 შეკითხვას, რომელიც ეფუძნება FCTC 5.3 მუხლის სახელმძღვანელო პრინციპებს. ამ ანგარიშში გამოყენებული ინფორმაცია მიღებულია მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. გამოიყენებოდა ქულების სისტემა 0-დან 5-მდე ქულებით, სადაც 5 მიუთითებს ინდუსტრიის ჩარევის უმაღლეს დონეზე, ხოლო 1 არის დაბალი ან საერთოდ არ არის ინდუსტრიის ჩარევა. აქედან გამომდინარე, რაც უფრო დაბალია ქულა, მით უკეთესია ქვეყნისთვის. 0 ქულა მიუთითებს მტკიცებულებების არარსებობაზე ან მიუწვდომლობაზე. ანგარიში შეიცავს ინფორმაციას 2021 წლის აპრილიდან 2023 წლის აგვისტოს პერიოდში მომხდარი ფაქტების შესახებ.

შემაჯამებელი დასკვნები

1	**ინდუსტრიის მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებაში**
	თამბაქოს ინდუსტრია (TI) აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკის შემუშავებაში, იღებს არსებით მხარდაჭერას მთავრობისა და პარლამენტის ეკონომიკური სექტორისგან. თამბაქოს ინდუსტრიის მთავარი მხარდამჭერები არიან პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ოფისი, რომლებიც მხარს უჭერენ თამბაქოს ინდუსტრიის პოზიციებს.
2	**ინდუსტრიის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ღონისძიებები**
	თამბაქოს ინდუსტრიას ეკრძალება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ინიციატივების ორგანიზება და დახმარების გაწევა ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის. მაგალითად, Philip Morris International-მა მოახდინა გასახურებელი თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაცია, როგორც მისი CSR ინიციატივის ნაწილი, ასევე "Ubi Concordia, Ibi Victoria" (ისტორიის შექმნა პანდემიის პირობებში). საქართველოში არ არსებობს რეგულაციები, რომლებიც შეზღუდავდა ინდუსტრიის მიერ საქველმოქმედო შენატანებს. შესაბამისად, მას შეუძლია შემოწირულობა შეიტანოს მანამ, სანამ ისინი თავს შეიკავებენ თავიანთი კომპანიის ან თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაციისგან.
3	**სარგებელი ინდუსტრიისათვის**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2014 წელს დააფუძნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „აწარმოე საქართველოში“. მისი ერთ-ერთი მიზანი იყო თამბაქოს წარმოების ადგილობრივი სექტორისთვის დახმარება და მხარდაჭერა. 2023 წელს, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, ქობულეთში ახალი თამბაქოს კომპანია დაარსდა. სააგენტომ, სხვადასხვა ფორმით, დახმარება გაუწია ლიბანური ინვერსტიციით შექმნილ ჩილიმის ქარხნას, მათ შორის დაეხმარა მშენებლობის დაფინანსებაში, ნედლეულის შესყიდვასა და საჭირო აღჭურვილობის შეძენაში საჩილიმე თამბაქოსა და მისი არომატების წარმოებისთვის.

4 არასაჭირო კონტაქტები

ადგილი ჰქონდა თამბაქოს ინდუსტრიის არასაჭირო კონტაქტებს მთავრობის წარმომადგენლებთან ან პარლამენტის წევრებთან, მათ აქვთ პირდაპირი და შეუზღუდავი კავშირები და კომუნიკაცია.

თამბაქოს ინდუსტრია კვლავ აგრძელებს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მხარდაჭერას მათი თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარებითა და კონტრაბანდის წინააღმდეგ საბრძოლველად საბაჟო მომსახურებისთვის ძაღლებისა და დრონების მიწოდებით. მაგალითად, JTI იუწყება, რომ წარმატებით ჩაატარა სემინარების სერია უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ საქართველოს საბაჟო სამსახურში.

5 გამჭვირვალობა

არ არსებობს თამბაქოს ინდუსტრიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ურთიერთობების გამჭვირვალობა. 2018 წლის ივნისში მომზადდა დადგენილების პროექტი სახელწოდებით „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და შესრულების პროცესში, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის და საჯარო მოსამსახურის თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ“. თუმცა, ეს პროექტი საქართველოს მთავრობისგან დამტკიცებას ჯერ კიდევ ელოდება. დამტკიცების შეფერხება განპირობებულია თამბაქოს ინდუსტრიის ჯერ კიდევ ძლიერი ზეგავლენით მთავრობაზე.

6 ინტერესთა კონფლიქტი

ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ფლობს ადგილობრივ თამბაქოს მწარმოებელ კომპანიას და გავლენას ახდენს ამჟამინდელ ხელისუფლებაზე, რათა შექმნას მომგებიანი გარემო მისი ბიზნესისთვის.

7 პრევენციული ზომები

პრევენციული ღონისძიებები არ არის გატარებული ამ პრობლემის მოსაგვარებლად. მთავრობას არ დაუმტკიცებია სახელმწიფო/საჯარო

მოხელეთა ქცევის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავდა თამბაქოს ინდუსტრიასთან ურთიერთობის სტანდარტებსა და ნორმებს.

რეკომენდაციები

1. მიზანშეწონილია მთავრობამ უმოკლეს ვადაში დაამტკიცოს დადგენილების პროექტი „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და შესრულების პროცესში, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის და საჯარო მოსამსახურის თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ“;

2. აუცილებელია აიკრძალოს თამბაქოს ინდუსტრიის ჩართვა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში, მიღებასა და განხორციელებაში;

3. აუცილებელია თამბაქოს ინდუსტრიის მიერ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ინიციატივების აკრძალვა და მათი საქველმოქმედო ღონისძიებებში ჩართვის აღკვეთა;

4. სამთავრობო ორგანოებს მოეთხოვოთ გაასაჯაროონ თამბაქოს ინდუსტრიასთან შეხვედრების ყველა ჩანაწერი;

5. უნდა დაინერგოს ქცევის კოდექსი სახელმწიფო/საჯარო მოხელეებისთვის, რომელიც დაადგენს თამბაქოს ინდუსტრიასთან ურთიერთობის ფარგლებს;

6. აუცილებელია მოხდეს შესაძლებლობების გაძლიერება და გადაწყვეტილების მიმღებთა და პოლიტიკის შემქმნელთა შორის ცნობიერების ამაღლება WHO FCTC-ის 5.3 მუხლისა და მისი გაიდლაინების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა თამბაქოს ინდუსტრიის კომერციული და კერძო ინტერესებისგან.

საქართველო

თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის ინდექსი, 2023
შედეგები და დასკვნები

ქულები: 0-5; 0 – არ არის ხელმისაწვდომი მტკიცებულება; 1 – ინდუსტრიის დაბალი ან არანაირი ჩარევა; 5 – თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის უმაღლესი დონე. მითითებული რეკომენდაციის პუნქტები აღებულია FCTC 5.3 მუხლის აღსრულების გაიდლაინიდან.

ინდიკატორი 1: ინდუსტრიის მონაწილეობის დონე პოლიტიკის შემუშავებაში	ქულა
მთავრობა[37] იღებს, მხარს უჭერს ან იწონებს ნებისმიერ შეთავაზებას თამბაქოს ინდუსტრიიდან ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სუბიექტის ან პირისაგან, რომელიც ეხება თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების[38] გატარებას თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის შემუშავებაში ან განხორციელებაში.[39] (რეკომენდაცია 3.4)	**5**

საქართველოში დაფუძნებულ ადგილობრივ და საერთაშორისო თამბაქოს კომპანიებს ძლიერი კავშირები აქვთ პოლიტიკის შემქმნელ ან გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან, როგორც მმართველი, ასევე ოპოზიციური პარტიებიდან.

პარლამენტის ზოგიერთმა წევრმა, თამბაქოს სადა შეფუთვის რეგულაციის ამოქმედების 2024 წლის 31 დეკემბრამდე გადადება მოითხოვა.[40] პარლამენტის მხარდაჭერით, ეს ნორმა ნაცვლად 2023 წლის 1 იანვრისა, გადაიდო 2024 წლის 31 ივლისამდე. ამ გადაწყვეტილების უკან იდგა თამბაქოს ინდუსტრია, ძირითადად PMI, რადგან სადა შეფუთვის რეგულაცია მოიცავდა HTP-საც თამბაქოს სხვა პროდუქტებთან ერთად.[41] პარლამენტიდან გადავადების ინიციატორები იყვნენ ბ-ნი დავით სონღულაშვილი (დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე და თამბაქოს ინდუსტრიის წამყვანი ლობისტი), ბ-ნი ისკო დასენი (მისი ოჯახი აკონტროლებს საქართველოში სათამაშო ბიზნესის 80%-ს), ბ-ნი გოჩა ენუქიძე და

[37] ტერმინი "მთავრობა" მიეკუთვნება ნებისმიერ სახელმწიფო თანამდებობის პირს, იმისგან დამოუკიდებლად, მოქმედებს თუარა იგი უფლებამოსილების ფარგლებში, იმ პირობით, რომ ისინი მალავენ ასეთ უფლებამოსილებას ან სხვა პირს აცნობებენ, რომ ისინი ფლობენ ასეთი უფლებამოსილებები.

[38] ტერმინი „თამბაქოს ინდუსტრია" მოიცავს იმათთაც ვინც წარმოადგენს ამ ინდუსტრიის ინტერესებს ან მუშაობენ მათი ინტერესების წინ წაწევისათვის, თამბაქოს სახლმწიფო საწარმოების ჩათვილით.

[39] „დახმარების შეთავაზება" შესაძლოა მოიცავდეს კანონპროექტების შეთავაზებას, ტექნიკურ დახმარებას, უცხოეთში სასწავლო ტურის შეთავაზებას.

[40] საქართველოს პარლამენტი. *„თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე*, N 2127-IXმს-Xმპ, 2022 წლის 29 ნოემბრი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5626557?publication=0

[41] ბიზნეს მედია ჯორჯია (BMG). 2023 წლიდან ბაზარზე შესაძლოა „გასახურებელი თამბაქო" გაქრეს - იურისტი დადგენილების ხარვეზზე მიუთითებს. 2022 წლის 19 მაისი: https://bm.ge/ka/article/2023-wlidan-bazarze-shesadzloa-gasaxurebeli-tambaqo-gaqres---iuristi-dadgenilebis-xarvezze-miutitebs/109182

ბ-ნი გელა სამხარაული. თამბაქოს კონტროლის ალიანსი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა თამბაქოს სადა შეფუთვის რეგულაციის გადავადებას, რომელიც ერთხელ უკვე გადავადდა ხუთი წლის უკან (თავდაპირველად ეს ნორმა ძალაში უნდა შესულიყო 2018 წლის 1 იანვრიდან). მაგრამ, სამწუხაროდ პარლამენტმა კვლავ განიხილა და მხარი დაუჭირა სადა შეფუთვის ნორმის გადავადებას, რამდენადაც მმართველი პარტიის ხელმძღვანელებს შესაძლოა ჰქონოდათ თამბაქოს ინდუსტრიასთან მჭიდრო კავშირები.[42] [43] [44]

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ოფისი (BOO) რეგულარულად მართავს შეხვედრებსა და კონსულტაციებს თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. BOO-ს 2022 წლის წლიური ანგარიში აჩვენებს, რომ თამბაქოს ინდუსტრიის წინადადებებზე დაყრდნობით, ბიზნესომბუდსმენმა ოფიციალურად მიმართა პარლამენტს და მოითხოვა თამბაქოს სადა შეფუთვის გადავადება, როგორც მათი ოფიციალური რეკომენდაცია.[45] [46] ბიზნესომბუდსმენმა ორჯერ მიმართა პარლამენტს 2023 წლის შუა რიცხვებში (2023 წლის 21 აპრილს და 8 მაისს) და გამოსცა რეკომენდაციები თამბაქოს ინდუსტრიის მოთხოვნებზე დაყრდნობით, რათა სადა შეფუთვის რეგულაციებისთვის დაემატებინათ ბრენდების სახელების ინგლისურ ენაზე დატანის შესაძლებლობა და უბაჟო ვაჭრობის ზონებში მოქმედი ოპერატორებისთვის თამბაქოს ნაწარმის სადა შეფუთვის გარეშე გაყიდვის ნებართვა მიეცათ.[47] [48]

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არის PMI-ის ერთ-ერთი მთავარი ლობისტი საქართველოში.[49] BAG-ის თავმჯდომარის მოადგილე, ბ-ნი ლევან ვეფხვაძე (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე) და ბ-ნი ნიკა ნანუაშვილი (იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) მონაწილეობდნენ IQOS-ის საქართველოში პოპულარიზაციის პირდაპირ ლობირებაში. ბ-ნმა ნანუაშვილმა პარლამენტში შეიტანა საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებების პაკეტები, რათა მომხდარიყო HTP-სა და ელექტრონულ სიგარეტზე გადასახადის შემცირება და ამ ახალი პროდუქტების რეკლამირებისა და პოპულარიზების დაშვება. ის ასევე მონაწილეობდა PMI-ის ან მათი სხვა მხარდამჭერი ჯგუფების მიერ

[42] ბიზნეს ფორმულა. ვის ინტერესებშია თამბაქოს სადა შეფუთვის რეგულაციიეს გადავადება - ინდუსტრია VS მოწინააღმდეგეები. 2022 წლის 23 ნოემბერი: https://businessformula.ge/News/11528

[43] ტ/კ რუსთავი 2. თამბაქოს სადა შეფუთვის რეგულაცია, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრიდან უნდა ამოქმედდეს, შესაძლოა გადავადდეს - ცვლილების ინიციატივას თამბაქოს კონტროლის ალიანსი აპროტესტებს და განცხადებას ავრცელებს. 2022 წლის 29 ნოემბერი: https://rustavi2.ge/ka/news/243421

[44] Business Time, საინფორმაციო სააგენტო. კანონპროექტი ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს - თამბაქოს კონტროლის ალიანსი. 2022 წლის 29 ნოემბერი: https://businesstime.ge/biznesi/kanonproekti-etsinaaghmdegeba-evrokavshiris-samartals-tambakos-kontrolis-aliansi

[45] საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 6-7: https://businessombudsman.ge/files/files/ანგარიში-2022.pdf

[46] ბიზნეს მედია ჯორჯია (BMG). თამბაქოს სტანდარტული შეფუთვის მოთხოვნა 2024 წლის 31 ივლისიდან ამოქმედდება. 2022 წლის 29 ნოემბერი: https://bm.ge/ka/article/tambaqos-standartuli-shefutvis-motxovna-2024-wlis-31-dekembridan-amoqmeddeba/121685

[47] საქართველოს ბიზნესომბუდსმენის წერილი პარლამენტს, N 00000172, 2023 წლის 23 აპრილი

[48] საქართველოს ბიზნესომბუდსმენის წერილი პარლამენტს, N 00000202, 2023 წლის 8 მაისი

[49] Tobacco Tactics. Business Association of Georgia. updated 07 July 2023. ნანახია 2023 წლის 10 ივლისს: https://tobaccotactics.org/article/business-association-of-georgia/

დაფინანსებულ ღონისძიებებში და აკეთებდა ოფიციალურ განცხადებებს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის გაძლიერების წინააღმდეგ, ძირითადად Business Media Georgia (BMG) მეშვეობით.[50] [51] [52]

PMI-მ, მისმა დიდ ბრიტანეთში დაფუძნებულმა საერთაშორისო პარტნიორმა ორგანიზაციამ - Knowledge Action Change (K.A.C)[53] და ჯანმრთელობის კვლევის კავშირმა (HRU) მოაწყო საერთაშორისო კონფერენცია თემაზე "თამბაქოს ზიანის შემცირება: გამოწვევები და შესაძლებლობები 21-ე საუკუნეში", რომელიც გაიმართა ქ. თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, 2022 წლის 23 მაისს.

კონფერენციას უძღვებოდა HRU-ს სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მთავარი მომხსენებლები და აქტიური მონაწილეები იყვნენ საქართველოს ჯანდაცვის სამი ყოფილი მინისტრი: ბატონი გიორგი (გიგი) წერეთელი, ბ-ნი ანდრია ურუშაძე და ბ-ნი ზურაბ ჭიაბერაშვილი.[54] [55] თამბაქოს კონტროლის ალიანსმა (FCTC-ის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი ალიანსის კოორდინატორია), ექიმებთან და სტუდენტებთან ერთად მოაწყო აქცია-პერფორმანსი სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიის“ წინ, თამბაქოს ინდუსტრიის მიერ დაფინანსებული ღონისძიების გასაპროტესტებლად.[56] [57] დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (NCDC)

---

[50] ბიზნეს მედია საქართველო (BMG). თამბაქოს კონტროლის შესახებ პარლამენტის დადგენილება - ნიკა ნანუაშვილის შეფასება. 2021 წლის 19 აპრილი: https://bm.ge/ka/article/tambaqos-kontrolis-shesaxeb-parlamentis-dadgenileba---nika-nanuashvilis-shefaseba/80638

[51] ბიზნეს მედია საქართველო (BMG). პარლამენტის მიერ „თამბაქოს კონტროლის კანონის“ ინიციატივის ჩაგდებას BAG-ის იურიდიული დირექტორი ეხმაურება. 2021 წლის 20 ივლისი: https://bm.ge/ka/article/parlamentis-mier-tambaqos-kontrolis-kanonis-iniciativis-chagdebas-bag-is-iuridiuli-direqtori-exmaureba/87634

[52] ბიზნეს მედია ჯორჯია (BMG). 2023 წლიდან ბაზარზე შესაძლოა „გასახურებელი თამბაქო“ გაქრეს - იურისტი დადგენილების ხარვეზზე მიუთითებს. 2022 წლის 19 მაისი: https://bm.ge/ka/article/2023-wlidan-bazarze-shesadzloa-gasaxurebeli-tambaqo-gaqres---iuristi-dadgenilebis-xarvezze-miutitebs/109182

[53] Tobacco Tactics from the University of Bath. Knowledge-Action-Change. The page edited on 23 June 2023. ნანახია 2023 წლის 1 ივლისს: https://tobaccotactics.org/article/knowledge-action-change/

[54] The entrepreneur საქართველო. საერთაშორისო კონფერენცია: თამბაქოს ზიანის შემცირება: გამოწვევები და შესაძლებლობები 21-ე საუკუნეში. 2022 წლის 25 მაისი: https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendentsiebi/saertashoriso/428236

[55] იმედი ნიუსი. თამბაქოს კონტროლის ალიანსი: ბოლო ხანს, საგანგაშოდ მასშტაბურია თამბაქოს ინდუსტრიის მცდელობა, ახალი, ტექნოლოგიური პროდუქტების მარკეტინგი მედიკოსების ხელით აწარმოოს. 2022 წლის 21 მაისი: https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/250391/tambaqos-kontrolis-aliansi-bolo-khans-sagangashod-masshtaburia-tambaqos-industriis-mtsdeloba-akhali-teqnologiuri-produqtebis-marketingi-medikosebis-khelit-atsarmoos

[56] ფორტუნა. „ნუ გახდები სიკვდილის დისტრიბუტორი“ - ექიმები და სტუდენტები აქცია-პერფორმანს მართავენ. 2022 წლის 23 მაისი: https://fortuna.ge/fortuna/post/nu-gakhdebi-sikvdilis-distributori-eqimebi-da-studentebi-aqcia-performans-martaven?fbclid=IwAR1iwEhL-hAAX2G-47xFZOwZ2_QF22F4mCl3H4P5sDUoFBoorU3_iVLq8bM

[57] ტ/კ რუსთავი 2. „ნუ გახდები სიკვდილის დისტრიბუტორი“ - ამ სლოგანით თამბაქოს ალიანსის ხელმძღვანელმა თბილისში აქცია გამართა. 2022 წლის 23 მაისი: https://rustavi2.ge/ka/news/229843?fbclid=IwAR3KvzaBMrg9igMfU0o5YQ-rZ0PZEGMsE0-p2SssLIyj-QSv2vXVfuxfoQU

კონფერენციამდე ერთი დღით ადრე, ზემოაღნუშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი პოზიცია განცხადების სახით გამოხატა.[58] PMI-ის მარკეტინგული ინტერესების ხელშემწყობი საქართველოში არის ეკონომისტი გიორგი მჟავანაძე, რომელმაც 2023 წლის 14 თებერვალს BMG-ში გამოაქვეყნა სტატია ალტერნატიული თამბაქოს ნაწარმის შესახებ. სტატია დაიწერა თამბაქოს ზიანის შემცირების სასტიპენდიო პროგრამის (THRSP) დაფინანსებით.[59] აღნიშნულ საგრანტო პროგრამას მართავს K.A.C. [60] გიორგი მჟავანაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დოქტორანტმა, ასევე გამოაქვეყნა სტატია „Georgia Today"-ში 2023 წლის 27 თებერვალს და ის დაფინანსებული იყო PMI-ის მიერ დაფძნებული „მოწევისგან თავისუფალი მსოფლიოს" ფონდისა და უკრაინული არასამთავრობო ორგანიზაციის „ჯანსაღი ინიციატივების" მიერ.[61] ბ-მა მჟავანაძემ დაფინანსება მიიღო არა მხოლოდ თამბაქოს ინდუსტრიიდან, არამედ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდანაც.[62] FCTC-ის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრმა მიმართა ფონდის ხელმძღვანელსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამჟამინდელ რექტორს ამ პირის სადისერტაციო თემის ინტერესთა უშუალო კონფლიქტის თაობაზე. 2023 წლის აგვისტოს მონაცემებით, გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული.						
1. მთავრობა იღებს, მხარს უჭერს ან ამტკიცებს თამბაქოს ინდუსტრიის მიერ ან მათთან თანამშრომლობით შემუშავებულ პოლიტიკას ან კანონმდებლობას. (რეკომენდაცია 3.4)					4	
თამბაქოს ინდუსტრიას აქვს რეგულარული კომუნიკაცია პარლამენტის წევრებთან, მთავრობის წევრებთან, ბიზნესომბუდსმენთან, ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან.						

[58] NCDC. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პოზიცია 23 მაისს დაგეგმილ შეხვედრასთან „თამბაქოს ზიანის შემცირება: გამოწვევები და შესაძლებლობები 21-ე საუკუნეში" დაკავშირებით. 2022 წლის 22 მაისი: https://test.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=b9e3c753-5b59-4baf-86aa-75ff727068c0&language=en-US

[59] გიორგი მჟავანაძე. რა ვიცით თამბაქოს ალტერნატული პროდუქტების შესახებ. BMG, 2023 წლის 14 თებერვალი. ნანახია 2023 წლის 30 ივნისს: https://bm.ge/ka/article/ra-vicit-tambaqos-alternatiuli-produqtebis-shesaxeb-/126956

[60] Knowledge.Action.Change (K.A.C). Tobacco Harm Reduction Scholarship Programme. ნანახია 2023 წლის 5 მაისს: https://thrsp.net/introduction-to-the-thrsp/

[61] Giorgi Mzhavanadze. Smoking Behavior and Risk Perceptions in Georgia: Results of 2022 Survey. Georgia Today, February 27, 2023. ნანახია 2023 წლის 20 ივნისს: https://georgiatoday.ge/smoking-behavior-and-risk-perceptions-in-georgia-results-of-2022-survey/

[62] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თამბაქოს კონტროლის შედეგები - თსუ დოქტორანტის გამარჯვებული კვლევა. 2021 წლის 3 ნოემბერი: https://www.tsu.ge/ka/news/თამბაქოს-კონტროლის-შედეგები---თსუ-დოქტორანტის-გამარჯვებული-კვლევა-

უკრაინული არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანსაღი ინიციატივა“, რომელიც დაფინანსებას იღებს PMI-ის მიერ დაფინანსებული ფონდი მოწევისგან თავისუფალი სამყაროს (FSFW) მეშვეობით, დააფინანსა ქართველი ეკონომისტი, ბ-ნ გიორგი მჟავანაძე, რომელმაც მოამზადა ანგარიში საქართველოს შესახებ. მან შეაფასა თამბაქოს კონტროლის არსებული პოლიტიკა და დაადგინა დაინტერესებული მხარეები, რომლებსაც აქვთ დადებითი დამოკიდებულება „თამბაქოს ზიანის შემცირების“ პროდუქტების მიმართ, როგორიცაა HTP (სურათი 2).[63]

სურათი 2: საქართველოს დაინტერესებული მხარეების რუკა ზიანის შემცირების პროდუქტის (HRP) როგორც მოწევის ეპიდემიის დასასრულის ინსტრუმენტთან მათი დამოკიდებულების შესახებ, 2021 წ.



რესურსი: ჯანსაღი ინიციატივები. საქართველო, ქვეყნის ანგარიში. 2021 წლის დეკემბერი: bit.ly/3XQLDRh

ამ ანგარიშში ნათქვამია, რომ WHO, NCDC, თამბაქოს კონტროლის ალიანსი, აკაკი ზოიძე (რომელიც იყო თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობაში ეფექტიანი ცვლილებების პარლამენტის მხრიდან განხორციელების ლიდერი) და სხვები ეწინააღმდეგებიან „ზიანის შემცირების პროდუქტების“ გამოყენებას (როგორიცაა HTPs და ელექტრონული სიგარეტი), როგორც მოწევის შემცირების საშუალებას.

[63] Giorgi Mzhavanadze.Georgia – country report. Healthy Initiatives, December 2021: https://www.smokefreeworld.org/wp-content/uploads/2021/12/Georgia_country_report_3.21.22.pdf

სამწუხაროდ, ზოგიერთი ცნობილი სამედიცინო პროფესიონალი და თამბაქოს ინდუსტრიის მხარდამჭერი ორგანიზაციები, როგორიცაა სოციალური კვლევის ინსტიტუტი (ISR), პარადონტოლოგთა ასოციაცია და ა.შ., მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს ბიზნეს ასოციაციასთან (BAG) PMI-ის ახალი პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით. გარდა ამისა, BAG სთავაზობს ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს პარლამენტს თამბაქოს ახალი ნაწარმისათვის (HTPs, ელექტრონული სიგარეტები) სადა შეფუთვისა და ხილული განთავსების აკრძალვის გადავადებასთან დაკავშირებით, ასევე ამ პროდუქტებისათვის რეკლამისა და პოპულარიზაციის დაშვების და სხვადასხვა დაწესებულებებში მოწევის ნებართვის შესახებ. 2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით, სადა შეფუთვის რეგულაცია გადაიდო 2024 წლის 31 ივლისამდე.

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ოფისი (BOO) ხშირად მართავს შეხვედრებსა და კონსულტაციებს ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. ბიზნესომბუდსმენის ოფისის 2022 წლის წლიური ანგარიში აჩვენებს, რომ მან ოფიციალურად მიმართა პარლამენტს და მოითხოვა თამბაქოს სადა შეფუთვის ნორმის გადავადება.[64] ამ ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ პარლამენტმა განიხილა მათი რეკომენდაცია და გადადო 2024 წლის 31 დეკემბრისთვის (რაც არასწორია, პარლამენტმა საბოლოოდ გადადო რეგულაცია 2024 წლის 31 ივლისამდე).[65] [66] ბიზნესომბუდსმენის ოფისმა წარადგინა თამბაქოს ინდუსტრიის სასარგებლო საკანონმდებლო წინადადებები და გაუგზავნა მთავრობასა და პარლამენტს.

ბიზნესომბუდსმენის ოფისმა ორჯერ მიმართა პარლამენტს 2023 წლის შუა რიცხვებში (2023 წლის 21 აპრილს და 8 მაისს) და გამოსცა რეკომენდაციები თამბაქოს ინდუსტრიის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რათა დაემატებინათ ინგლისურენოვანი ბრენდები სადა შეფუთვის რეგულაციებისთვის და უბაჟო ვაჭრობის ზონებში მოქმედი ოპერატორებისთვის თამბაქოს ნაწარმის სადა შეფუთვის გარეშე გაყიდვის ნებართვა მიენიჭებინათ.[67] [68]

---

[64] საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 6-7: https://businessombudsman.ge/files/files/ანგარიში-2022.pdf

[65] იქვე

[66] ბიზნეს მედია ჯორჯია (BMG). თამბაქოს სტანდარტული შეფუთვის მოთხოვნა 2024 წლის 31 ივლისიდან ამოქმედდება. 2022 წლის 29 ნოემბერი: https://bm.ge/ka/article/tambaqos-standartuli-shefutvis-motxovna-2024-wlis-31-dekembridan-amoqmeddeba/121685

[67] საქართველოს ბიზნესომბუდსმენის წერილი პარლამენტს, N 00000172, 2023 წლის 23 აპრილი

[68] საქართველოს ბიზნესომბუდსმენის წერილი პარლამენტს, N 00000202, 2023 წლის 8 მაისი

2. მთავრობა ნებას რთავს/იწვევს თამბაქოს ინდუსტრიას, მონაწილეობა მიიღოს სამთავრობო უწყებათაშორისი/მრავალსექტორული კომიტეტების საკონსულტაციო ჯგუფის ორგანოებში, რომლებიც შეიმუშავებენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკას. (რეკომენდაცია 4.8)						5

თამბაქოს ინდუსტრია აგრძელებს შეხვედრებს დახურულ კარს მიღმა ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ძირითადად იმ პირებთან, რომლებიც მუშაობენ ეკონომიკურ საკითხებზე. თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების მუდმივი მხარდამჭერები და ლობისტები მთავრობაში არიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MOESD) და საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ოფისი (BOO). ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აქვს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა სახელწოდებით „აწარმოე საქართველოში“, რომელიც მხარს უჭერს ადგილობრივ თამბაქოს წარმოებას 2014 წლიდან.[69] ზემოაღნიშნული სამინისტროს მინისტრის მოადგილეები აგრძელებენ თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების მხარდაჭერას სამთავრობო დონეზე და პარლამენტში.[70] [71]

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა (NCDC), თამბაქოს კონტროლის ალიანსთან ერთად, მოამზადა დადგენილების პროექტი ჯანმოს FCTC-ის 5.3 მუხლის განსახორციელებლად. პროექტი დასამტკიცებლად პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციას 2018 წლის ივნისში გადაეგზავნა, მაგრამ სამწუხაროდ, ხუთი წლის შემდეგაც ჯერ კიდევ განიხილვის პროცესშია. თამბაქოს კონტროლის ალიანსი საქართველოში ვარაუდობს, რომ შეფერხება გამოწვეულია თამბაქოს ინდუსტრიის სერიოზული ზეგავლენით საქართველოს მთავრობაზე.[72] საკითხზე საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა 2019 წლის მარტ-ივნისის პერიოდში მოსმენები გამართა. 2021 წლის 13 აპრილს კი პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება და მიმართა მთავრობას, რათა მთავრობას დროულად მოეხდინა თამბაქოს ინდუსტრიასთან მათი ურთიერთობების გამჭვირვალეობის შესახებ შესაბამისი დადგენილების მიღება.[73] [74] NCDC-მ განაახლა მუშაობა საკითხზე 2022 წლის

[69] საქართველოს მთავრობის დადგენილება N365, 30/05/2014. „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2362780?publication=0

[70] ნათია ხუციშვილი. გიორგი ბახტურიძე პოლიტიკოსებს თამბაქოს ინდუსტრიის ლობირებაში ადანაშაულებს. რეპორტიორი, 2014 წლის 5 მაისი: http://reportiori.ge/old/geworld.ge,?menuid=2&id=25411

[71] ნათია ამირანაშვილი. გიორგი ბახტურიძე: თამბაქოს კონტროლი განცხადებების დონეზე რჩება. ლიბერალი, 2014 წლის 29 სექტემბერი: http://liberali.ge/news/view/12396/giorgi-bakhturidze-tambaqos-kontroli-gantskhadebebis-doneze-rcheba

[72] საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი (TV1). „თამბაქოს კონტროლის ალიანსი“ განცხადებას ავრცელებს. 2019 წლის 3 აპრილი: https://1tv.ge/news/tambaqos-kontrolis-aliansi-ganckhadebas-avrcelebs/

[73] საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების კონტროლის საბოლოო ანგარიში, 2019: https://parliament.leavingstone.club/storage/files/shares/naak/jandacva/tambaqo/angarishi.pdf

[74] საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N 455-IVმს-Xმპ, მიღებული 2021 წლის 13 აპრილს „თამბაქოს კონტორლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მდგომარეობის თაობაზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5148191?publication=0

განმავლობაში და ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ახალი პროექტი მზად იყო და აიტვირთა სამთავრობო პორტალზე 2022 წლის ბოლოს, მაგრამ დადგენილების პროექტი კვლავ ელოდება ვიზირებას მთავრობის ეკონომიკური გუნდისგან. თამბაქოს ინდუსტრიისა და BAG-ის წარმომადგენლები მონაწილეობენ ეკონომიკური მიმართულების სამთავრობო საბჭოებში, როგორც მოწვეული წევრები.[75]						
3. მთავრობა წარადგენს ან უშვებს თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლებს (მათ შორის სახელმწიფოს კუთვნილ) მხარეთა კონფერენციის (COP) დელეგაციაში ან სხვა დამხმარე ორგანოებში, ან იღებს სპონსორობას დელეგატებისთვის. (მაგ. COP 4 & 5, INB 4 5, WG)[76] (რეკომენდაციები 4.9 და 8.3) არასაკონფერენციო (COP) წლის შემთხვევაში, გამოიყენეთ წინა წლის ქულა. კონვენციის არაწევრი ქვეყნებისათვის გამოიყენეთ „0“ ქულა.		1				
საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების ეკონომიკური ნაწილი ცდილობდა დელეგაციაში დაენიშნათ თამბაქოს ინდუსტრიასთან დაკავშირებული მთავრობის წარმომადგენლები წინა COP-ებში: COP 6 და COP 7. COP-8/MOP-1 და COP-9/MOP-2-ში მხოლოდ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის, NCDC და MoF-ის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.[77] [78] [79] [80] მსგავსი განზრახვა კვლავ BOO-ს მხრიდან მოდიოდა თამბაქოს ინდუსტრიის დაპირებული დაფინანსებით, მაგრამ ეს აღკვეთა NCDC-მ COP-8-მდე. COP-9-ზე ასეთი განზრახვა არ დაფიქსირებულა. თუმცა, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების თამბაქოს ინდუსტრიასთან კავშირების შესახებ.						

[75] ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე მთავრობის დადგენილება N 592, 2022 წლის 26 დეკემბერი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5666418?publication=0

[76] Please annex a list since 2009 so that the respondent can quantify the frequency, http://www.who.int/fctc/cop/en/

[77] WHO. FCTC/COP/8/DIV/1 List of Participants. Oct 5, 2018: https://fctc.who.int/publications/m/item/fctc-cop-8-div-1-list-of-participants

[78] WHO. FCTC/MOP/1/DIV/2 List of Participants. Oct 10, 2018: https://fctc.who.int/publications/m/item/fctc-cop-8-div-1-list-of-participants

[79] WHO. 9th Session of the COP to the FCTC. List of Participants, Nov 8, 2021: https://untobaccocontrol.org/downloads/cop9/additional-documents/COP9-List-of-Participants.pdf

[80] WHO. FCTC/MOP/2/DIV/1 List of participants. Nov 15, 2021: https://fctc.who.int/publications/m/item/mop2-div-1-list-of-participants

ინდიკატორი 2: ინდუსტრიის კოპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) აქტივობები						
4. ა. სამთავრობო უწყებები ან მათი თანამდებობის პირები მხარს უჭერენ, აყალიბებენ პარტნიორობას ან მონაწილეობენ თამბაქოს ინდუსტრიის აქტივობებში, რომლებიც არის „სოციალურად პასუხისმგებელი“ ან „მდგრადი“. მაგალითად, გარემოსდაცვითი პროგრამები. (რეკომენდაცია 6.2) ბ. სახელმწიფო უწყებები ან თანამდებობის პირები იღებენ CSR შენატანებს[81] (ფულადი ან სხვაგვარი) თამბაქოს ინდუსტრიისაგან ან იმ ადამიანებისგან, რომლებიც მუშაობენ მისი ინტერესების გასაძლიერებლად პანდემიის დროს. (რეკომენდაცია 6.4) შენიშვნა: გამორიცხავს აღსრულების აქტივობებს, რომელიც სხვაგანაა აღწერილი			2			

CSR-ის ფარგლებში, PMI-იმ დააფინანსა ინიციატივა „Ubi Concordia, Ibi Victoria“, რომელიც ფოკუსირებულია თანამშრომლების კეთილდღეობაზე COVID-19 პანდემიის დროს და გამოქვეყნდა საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) ბლოგზე.[82]

თამბაქოს ინდუსტრია აგრძელებს რეგულაციების დარღვევას, რომელიც კრძალავს თამბაქოს რეკლამის პოპულარიზაციასა და სპონსორობას (TAPS) 2018 წლის 1 სექტემბრიდან.[83] FCTC-ის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრმა საქართველოში აღმოაჩინა IQOS-ის პოპულარიზაციის რამდენიმე უკანონო ღონისძიება, რომელიც ორგანიზებული იყო სოციალური კვლევის ინსტიტუტის (ISR) მიერ PMI-ს დაფინანსებით. 2021-23 წლებში PMI მხარდაჭერით მოეწყო სულ

[81] ეს მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ, ფინანსურ, საგანმანათლებლო, სათემო, ტექნიკურ დახმარებას ან ტრენინგებს კონტრაბანდის წინააღმდეგ ან ნებისმიერი სხვა ფორმის დახმარებას.

[82] ელენე ჩხეიძე. ფილიპ მორისი საქართველოს მიერ თანამშრომლების მხარდაჭერა პანდემიის პერიოდში. CSRDG, 2021 წლის 23 სექტემბერი: http://csrblog.ge/2021/09/23/philipmorrisgeorgia/

[83] საქართველოს პარლამენტი. *„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე,* 859-IIს. მიღებულია 2017 წლის 17 მაისს. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ნანახია 2023 წლის 18 ივნისს: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3676731?publication=2

მცირე 15 სემინარი/შეხვედრა/კონფერენცია ექიმებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.[84] [85] [86] [87]

PMI-მ დააფინანსა საერთაშორისო კონკურსი საქართველოს, სომხეთისა და მოლდოვას წარმატებული ახალგაზრდების მონაწილეობით სახელწოდებით "Disrupt Camp".[88] პროექტის მიზანი იყო ინკლუზიური გარემოს შექმნა ინოვაციური და მოტივირებული ახალგაზრდებისთვის, სადაც შეძლებდნენ თავიანთი იდეების განხორციელებას ტექნოლოგიაში, მეცნიერებაში, მდგრად განვითარებაში, ადამიანურ რესურსებსა და ბიზნესში. ახალგაზრდა ლიდერებს საშუალება ჰქონდათ გამხდარიყვნენ MPI გლობალური ქსელის წევრი და მიეღოთ საერთაშორისო პროფესიონალებთან მუშაობის გამოცდილება.[89] [90]

[84] მედიაჰოლდინგი კვირა. „თამბაქოს ინდუსტრიამ სამედიცინო პერსონალზე ნადირობა დაიწყო - ექიმების მოსყიდვას ცდილობს“ – „თამბაქოს კონტროლის ალიანსი“. 2021 წლის 28 ივნისი: http://kvira.ge/669131

[85] იმედი ნიუსი. თამბაქოს კონტროლის ალიანსი: ბოლო ხანს, საგანგაშოდ მასშტაბურია თამბაქოს ინდუსტრიის მცდელობა, ახალი, ტექნოლოგიური პროდუქტების მარკეტინგი მედიკოსების ხელით აწარმოოს. 2022 წლის 21 მაისი: https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/250391/tambaqos-kontrolis-aliansi-bolo-khans-sagangashod-masshtaburia-tambaqos-industriis-mtsdeloba-akhali-teqnologiuri-produqtebis-marketingi-medikosebis-khelit-atsarmoos

[86] TV1. „თამბაქოს კონტროლის ალიანსი“ ყოველთვიური მონიტორინგის შედეგებს აქვეყნებს. 2023 წლის 30 ივნისი. ნანახია 2023 წლის 15 ივლისს: https://1tv.ge/news/tambaqos-kontrolis-aliansi-yoveltviuri-monitoringis-shedegebs-aqveynebs-2/?fbclid=IwAR2AsHSHMU65lnc2jQUH0ASpkNRpwQgwusxr-l6-2xA39EVyKGowxWZxm-8

[87] FCTC იმპლემენტაციისა და მონიტროინგის ცენტრის წერილი დათარიღებული 2023 წლის 1 ივლისით.

[88] Entrepreneur საქართველო. საერთაშორისო ინოვაციური კონკურსი ახალგაზრდებისათვის “Disrupt Camp” იწყება! 2022 წლის 14 თებერვალი: https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendentsiebi/saertashoriso/418429

[89] Georgian National University – SEU. Disrupt Camp 22. February 28, 2022: https://www.seu.edu.ge/en/events/572/

[90] Csodepo. Internship Opportunity from Philip Morris International: Disrupt Camp 2022. February 23, 2022: https://hkdepo.am/en/opportunity/internship-opportunity-from-philip-morris-international-disrupt-camp-2022

ინდიკატორი 3: სარგებელი თამბაქოს ინდუსტრიისთვის						
5. მთავრობა ითვალისწინებს თამბაქოს ინდუსტრიის მოთხოვნებს თამბაქოს კონტროლის კანონის რეგულაციების მოგვიანებით ამოქმედების, ან ხანგრძლივი დროით გადავადების შესახებ (მაგ. 180 დღის განმავლობაში სამედიცინო გაფრთხილების ამოქმედება ჩვეულებრივი პრაქტიკაა (PHW), გადასახადის გაზრდა შესაძლებელია განხორციელდეს 1 თვის განმავლობაში). (რეკომენდაცია 7.1).						**5**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის FCTC-ის 5.3 მუხლისა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის“ 6.4 მუხლის თანახმად, მთავრობა ვალდებული იყო მიეღო შესაბამისი ნორმატიული აქტი 2018 წლის მაისამდე, მაგრამ ის ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია 2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით. თამბაქოს ნაწარმის სადა შეფუთვის ნორმა თავდაპირველად 2018 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ 2023 წლის 1 იანვრამდე გადავადდა PMI-ისა და ამერიკის სავაჭრო პალატის ჩარევის გამო.[91] ეს ნორმა კვლავ გადაიდო 2024 წლის 31 ივლისამდე თამბაქოს ინდუსტრიის წინადადებით, რომელიც ყოველგვარი სერიოზული არგუმენტებისა და წინააღმდეგობის გარეშე დაამტკიცა პარლამენტმა 2022 წლის 29 ნოემბერს.[92]

საქართველო არ არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის FCTC-ის თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის ოქმის წევრი. თამბაქოს ინდუსტრია ეწინააღმდეგება დამატებითი ეფექტური კონტროლის მექანიზმების დანერგვას თამბაქოს უკანონო ვაჭრობის თავიდან ასაცილებლად თამბაქოს წარმოების, რეალიზაციისა და იმპორტის/ექსპორტის ლიცენზირების გზით და ეწინააღმდეგება თამბაქოს ნაწარმის თვალთვალის და მიკვლევადობის სისტემის სრულ დანერგვას. ამ საკითხზე რამდენიმე შეხვედრა გაიმართა პარლამენტის წევრებთან, ფინანსთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან; თუმცა, ინდუსტრიის გავლენა კვლავ მაღალია. ფინანსთა სამინისტრომ გამოთქვა დაინტერესება საკითხით; თუმცა, ეს უწყება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან

[91] საქართველოს პარლამენტი. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების თაობაზე N 1278რს. ნანახია 2023 წლის 9 ივლისს: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3754138?publication=0

[92] საქართველოს პარლამენტი. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების თაობაზე N 2127-IXმ-Xმპ. ნანახია 2023 წლის 10 ივლისს: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5626557?publication=0

ერთად ჯერ კიდევ არ აძლევს მთავრობას თანხმობას ქართული მხრიდან ოქმზე მიერთების თაობაზე.[93] [94]

2022 წლის ივნისში საქართველოს მთავრობის ანგარიშში აღნიშნულია ლიბანის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის Régie Libanaise des Tabacs et Tombacs (RLTT) ქართულ ბაზარზე შემოსვლის შესახებ, როგორც სიგარეტის მწარმოებელი და თამბაქოს იმპორტიორ-ექსპორტიორი კომპანია. ეს ხაზგასმა ნიშნავს, რომ თამბაქოს კომპანიამ მიიღო მხარდაჭერა საქართველოს მთავრობისგან,[95] [96] როგორც აღნიშნულია სტატიაში „ქობულეთში ჩილიმის ქარხანა ლიბანური ინვესტიციით იხსნება“, რომელიც გამოქვეყნდა 2023 წლის 12 ივლისს „Georgia Today“-ში.[97] 2023 წლის 14 ივლისს გაირკვა, რომ ჩილიმის ქარხანამ ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა სახელმწიფო სააგენტო „აწარმოე საქართველოში“-სგან მიიღო. სააგენტომ სხვადასხვა ფორმით დახმარება შესთავაზა ლიბანურ კომპანიას, საქართველოში ჩილიმის ქარხნის დასაარსებლად, მათ შორის დახმარება გაუწია მშენებლობის დაფინანსების, ნედლეულის შესყიდვისა და საჭირო აღჭურვილობის შესაძენად საჩილიმე თამბაქოს წარმოებისთვის.[98]

საქართველოს კანონმდებლობა 2018 წლის 1 სექტემბრიდან კრძალავს თამბაქოს ყველა სახის რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის (TAPS) ყველა ფორმას. თუმცა, საქართველოში მოქმედი ტრანსნაციონალური კორპორაციები ხშირად არღვევენ ამ რეგულაციებს მათი პროდუქციის სავაჭრო ობიექტებში რეკლამირებით. საქართველოს შემოსავლების სამსახურს არ აქვს 24-საათიანი სამსახური, როგორც მაგალითად საპატრულო პოლიციას და 2019 წლიდან პარლამენტმა გასცა რეკომენდაცია, რათა აღსრულების პროცესში საპატრულო პოლიცია ჩართულიყო და მოეხდინა დარღვევებზე რეაგირება.[99]

---

[93] Prime Time. თამბაქოს შავი ბაზარი - ადგილები საქართველოში, სადაც ყველაზე მეტი კანონდარღვევაა. 2021 წლის 11 აგვისტო. ნანახია 2023 წლის 10 ივლისს: https://old.primetime.ge/tambaqos-shavi-bazari-adgilebi-saqartveloshi-sadats-kvelaze-meti-kanondarghvevaa

[94] GEOECOHUB. თბილისში გაიმართა შეხვერდა თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის პროტოკოლის ძალაში შესვლის ხელშეწყობის მიზნით. 2022 წლის 24 მარტი: http://geoecohub.ge/2022/03/24/თბილისში-გაიმართა-შეხვედ/

[95] შოთა ტყეშელაშვილი. „ლიბანური კომპანია საქართველოში თამბაქოს ქარხნის აშენებას გეგმავს“ - მთავრობა. Forbes Georgia, 2022 წლის 1 ივნისი: https://forbes.ge/libanuri-kompania-saqarthveloshi-thambaqos-qarkhnis-ashenebas-gegmavs-mthavroba/

[96] საქართველოს მთავრობა. სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენება, ივნისი, 2021-მაისი, 2022, გვ. 89: https://www.gov.ge/wp-content/uploads/2022/07/report2022.pdf

[97] Mariam Gorkhelashvili. Hookah Factory in Kobuleti Opening with Lebanese Investment. Georgia Today, July 12, 2023. Retrieved July 13, 2023: https://georgiatoday.ge/the-hookah-factory-in-kobuleti-is-opening-with-lebanese-investment/

[98] BMG. სააგენტოს „აწარმოე საქართელოში“ მხარდაჭერით, ქობულეთში ჩილიმის არომატების საწარმო გაიხსნა. 2023 წლის 14 ივლისი: https://bm.ge/news/saagentos-awarmoe-saqartveloshi-mxardacherit-qobuletshi-chilimis-aromatebis-sawarmo-gaixsna/138661

[99] საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების კონტროლის საბოლოო ანგარიში, 2019: https://parliament.leavingstone.club/storage/files/shares/naak/jandacva/tambaqo/angarishi.pdf

6. მთავრობა თამბაქოს ინდუსტრიას ანიჭებს პრივილეგიებს, წახალისებას, საგადასახადო შეღავათებს ან სხვა სარგებელს. (რეკომენდაცია 7.3)						**5**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MOESD), ბიზნესომბუდსმენის ოფისთან (BOO) ერთად, თამბაქოს ინდუსტრიის მთავარი მხარდამჭერები და ლობისტები არიან სამთავრობო მხრიდან. სამინისტროს აქვს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც მხარს უჭერს ადგილობრივი თამბაქოს წარმოებას 2014 წლიდან.[100] სააგენტოს ვებ-გვერდზე „აწარმოე საქართველოში“ ჩამოთვლილია ისეთი პრიორიტეტები, როგორიცაა თამბაქოს წარმოება/მეურნეობა და საცალო ვაჭრობა.[101] [102] ამ სახელმწიფო უწყების მიერ ლიბანური თამბაქოს კომპანიის მხარდაჭერის ბოლო ფაქტი მოცემულია წინა პუნქტში (მე-5 კითხვა).

საქართველოში თამბაქოს ნაწარმის უბაჟო ვაჭრობის ზონებში რეალიზაციისათვის არ არის სავალდებულო კოლოფებზე პიქტოგრამების დატანა. იმავე ზონებში თამბაქოს ნაწარმის რეალიზატორები გათავისუფლებულები არიან ხილვადობის აკრძალვის რეგულაციიდან.[103]

საქართველოში შემოსულ საერთაშორისო მოგზაურებს შეუძლიათ უბაჟოდ შემოიტანონ 200 ღერი სიგარეტი ან 50 სიგარილო ან 50 სიგარა ან 250 გრამი თამბაქო.[104]

მოწევა ნებადართულია კაზინოებსა და სათამაშო აპარატების სალონებში, სადაც განთავსებულია 20 სათამაშო აპარატი ან მეტი და ობიექტი ლიცენზიის მოსაკრებლის სახით წელიწადში 200 000 ლარს ან მეტს იხდის.[105]

---

[100] საქართველოს მთავრობის დადგენილება N365, 30/05/2014. „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2362780?publication=0

[101] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი. ეკონომიკური საქმიანობის სახეები, სეკ 006-2016, რედაქცია 2. 2016. ნანახია 2023 წლის 5 მაისს: https://www.enterprisegeorgia.gov.ge/files/1/ეკონომიკური%20საქმიანობის%20სახეები.pdf

[102] სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, NACE საქმიანობის კოდი. ნანახია 2023 წლის 5 მაისს: https://www.enterprisegeorgia.gov.ge/files/1/NACE%20საქმიანობის%20კოდი2.pdf

[103] საქართველოს პარლამენტი. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, განახლებულია 2022 წლის 29 ნოემბერს: https://matsne.gov.ge/document/view/1160150?publication=10

[104] საქართველოს პარალემნტი. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, განახლებულია 2020 წლის 17 მარტს: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=161

[105] საქართველოს პარლამენტი. *„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე,* 859-IIს. მიღებულია 2017 წლის 17 მაისს. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ნანახია 2023 წლის 18 ივნისს: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3676731?publication=2

მთავრობას 2019 წლის ნოემბრის შემდეგ თამბაქოს ნაწარმზე გადასახადი არ გაუზრდია და იქამდე, ამ წლების განმავლობაში, ინფლაციის გათვალისწინებითაც კი არ შეუცვლია გადასახადი.[106]						
ინდიკატორი 4: არასაჭირო კონტაქტები						
7. უმაღლესი დონის საწელმწიფო მოხელეები (როგორიცაა პრეზიდენტი/პრემიერი ან მინისტრი[107]) ხვდებიან/აძლიერებენ ურთიერთობას თამბაქოს კომპანიებთან სოციალური ხასიათის მატარებელ და სხვა ღონისძიებებზე დასწრებით, რომლებსაც აფინანსებენ ან აწყობენ თამბაქოს კომპანიები ან თამბაქოს კომპანიების ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციები.						**5**

2022 წელს ლიბანურმა კომპანიამ ქობულეთში ჩილიმის ქარხანა დაარსა. კომპანიის მხარდასაჭერად ფინანსური და ტექნიკური დახმარება გაუწია სახელმწიფო სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“. ეს დახმარება მოიცავდა მშენებლობის დაფინანსებას, ნედლეულის შესყიდვას და საჭირო აღჭურვილობის შეძენას საჩილიმე თამბაქოს წარმოებისთვის.[108] [109] [110] [111] დამატებითი დეტალები ამ თამბაქოს კომპანიის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ამ ანგარიშის მე-5 კითხვის პასუხში.

ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და მთავრობის ერთ-ერთი ფავორიტი ბიზნესმენი ფლობს ადგილობრივ თამბაქოს მწარმოებელ კომპანიას.[112]

ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო შეხვედრაში, რომელიც ორგანიზებულ იქნა K.A.C.-ს მიერ, უკრაინულ ორგანიზაცია „ჯანსაღ ინიციატივებ“-თან ერთად, ვარშავაში 2022 წლის 16-18

---

[106] BMG. 21 ნოემბრიდან თამბაქოს სახეობებზე აქციზი იზრდება - აღწევს თუ არა მიზანს აქციზის ზრდა. 2019 წლის 5 ნოემბერი: https://bm.ge/ka/article/21-noembridan-tambaqos-saxeobebze-aqcizi-izrdeba---agwevs-tu-ara-mizans-aqcizis-zrda/43009

[107] მოიცავს მაღალი თანამდებობის პირთა ოჯახის პირდაპირ წევრებს.

[108] შოთა ტყეშელაშვილი. „ლიბანური კომპანია საქართველოში თამბაქოს ქარხნის აშენებას გეგმავს“ - მთავრობა. Forbes Georgia, 2022 წლის 1 ივნისი: https://forbes.ge/libanuri-kompania-saqarthveloshi-thambaqos-qarkhnis-ashenebas-gegmavs-mthavroba/

[109] საქართველოს მთავრობა. სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ მოხსენება, ივნისი, 2021-მაისი, 2022, გვ. 89: https://www.gov.ge/wp-content/uploads/2022/07/report2022.pdf

[110] Mariam Gorkhelashvili. Hookah Factory in Kobuleti Opening with Lebanese Investment. Georgia Today, July 12, 2023. Retrieved July 13, 2023: https://georgiatoday.ge/the-hookah-factory-in-kobuleti-is-opening-with-lebanese-investment/

[111] Business Media Georgia. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, ქუბულეთში ჩილიმის არომატების საწარმო გაიხსნა. 2023 წლის 14 ივლისი: https://bm.ge/news/saagentos-awarmoe-saqartveloshi-mxardacherit-qobuletshi-chilimis-aromatebis-sawarmo-gaixsna/138661

[112] Business Media Georgia. რამდენი მილიონის შემოსავალი აქვს ივანე ჩხარტიშვილის თამბაქოს ბიზნესს? 2022 წლის 20 სექტემბერი: https://bm.ge/ka/article/ramdeni-milionis-shemosavali-aqvs-ivane-chxartishvilis-tambaqos-bizness/116857

ივნისსა და 2023 წლის 20 ივნისს.[113] [114] [115] ორგანიზაციამ „ჯანსაღი ინიციატივები“ დაფინანსება მიიღო PMI-ის მიერ დაფუძნებული ფონდისაგან „მოწევისგან თავისუფალი მსოფლიო“ (FSFW), რომლითაც მოამზადეს ანგარიში, რომლის მიზანია საქართველოში თამბაქოს ზიანის შემცირების პოლიტიკის მიღებაში დაარწმუნონ პოლიტიკის შემქმნელები.[116]						
8. მთავრობა იღებს დახმარებას/შეთავაზებას თამბაქოს ინდუსტრიის მხრიდან რეგულაციების აღსრულებისათვის, მაგალითად როგორიცაა თამბაქოს კონტრაბანდაზე რეიდების ორგანიზება ან თამბაქოს კვამლის გარეშე პოლიტიკის აღსრულება ან არასრულწლოვანთათვის მიყიდვის აკრძალვა (ამ საქმიანობაში ფულადი შენატანის ჩათვლით). (რეკომენდაცია 4.3).					4	

თამბაქოს ინდუსტრია მხარს უჭერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და ტრენინგებს უტარებს მათ პერსონალს, ასევე საბაჟო სამსახურს უზრუნველყოფს ძაღლებითა და დრონებით კონტრაბანდის აღმოჩენის მიზნით. JTI-მ განაცხადა, რომ მან წარმატებით ჩაატარა კონტრაბანდის საწინააღმდეგო სემინარების სერია საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტისთვის და დააფინანსა ბიზნეს-ადმინისტრირების სტუდენტები რამდენიმე უნივერსიტეტში.[117]

Picture shows the training material designed by JI for the Georgian Revenue Service officers. Source: JTI web sitehttps://www.jti.com/europe/Georgia

[113] Healthy Initiatives, Ukraine. Global Forum on Nicotine: June 16-18, 2022. Warsaw, Poland/Virtual. ნანახია 2023 წლის 20 ივნისს: https://hi-ua.org/tpost/duxayr92j1-global-forum-on-nicotine-june-16-18-2022

[114] Healthy Initiatives, Ukraine. Roadshow “Integrating harm reduction into tobacco control in Eastern Europe and Central Asia”: how to help people in the region to quit. June 2022: https://hi-ua.org/tpost/ir53xgt4p1-roadshow-integrating-harm-reduction-into

[115] Healthy Initiatives, Ukraine. Forum: “Science and Tobacco Control in Eastern Europe”, June 20, 2023. Warsaw, Poland. ნანახია 2023 წლის 12 ივლისს: https://hi-ua.org/tpost/k98bhlsl61-warsaw-public-event-on-science-and-tobac

[116] PMI funded Foundation for Smoke-free World (FSFW). Grantee: Ukrainian organisation “Healthy Initiatives”. ნანახია 2023 წლის 19 ივნისს: https://www.smokefreeworld.org/awarded-grants/healthy-initiatives-ukraine-534/

[117] Japan Tobacco International. JTI in Georgia. ნანახია 2023 წლის 20 ივნისს: https://www.jti.com/europe/georgia

9. მთავრობა იღებს, მხარს უჭერს, ან ამყარებს პარტნიორობას ან დებს არასავალდებულო შეთანხმებებს თამბაქოს ინდუსტრიასთან ან ნებისმიერ სუბიექტთან, რომელიც მუშაობს მისი ინტერესების გასაძლიერებლად. (რეკომენდაცია 3.1) *შენიშვნა: ეს <u>არ</u> უნდა მოიცავდეს CSR-ს, აღსრულების აქტივობას ან თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის შემუშავებას, რადგან ეს უკვე გაშუქებულია წინა საკითხებში.*				3		

საქართველოს მთავრობა ხანდახან იღებს, მხარს უჭერს, ან ამყარებს პარტნიორობას ან დებს ხელშეკრულებებს ინდუსტრიასთან. ამ ტიპის მხარდაჭერის ერთ-ერთი უკანასკნელი მაგალითი სამთავრობო სტრუქტურის მხრიდან იყო ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა ლიბანური კომპანიის მიერ ქობულეთში 2022 წელს დაარსებულ ჩილიმის ქარხნისათვის. დამატებითი დეტალები თამბაქოს ამ კომპანიის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ამავე ანგარიშის მე-5 კითხვის პასუხში.

ინდიკატორი 5: გამჭვირვალობა						
11. მთავრობა არ ასაჯაროებს თამბაქოს ინდუსტრიასთან შეხვედრებს/კონტაქტებს იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი კონტაქტები უკიდურესად აუცილებელია რეგულაციებისათვის. (რეკომენდაცია 2.2)						**5**

მთავრობასა და თამბაქოს ინდუსტრიას შორის კონტაქტები არ არის გასაჯაროებული. თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლები დახურულ შეხვედრებს მართავენ პარლამენტის წევრებთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, ჯანდაცვის სამინისტროების, ბიზნესომბუდსმენისა და პრემიერ მინისტრის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებთან, რაც ეწინააღმდეგება WHO FCTC-ის 5.3 მუხლით ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წლის მაისში განხორციელებული ცვლილება მთავრობას ავალდებულებდა საჯარო დაწესებულებებში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის დაცვისა და თამბაქოს ინდუსტრიასთან სახელმწიფო მოხელეთა კომუნიკაციის წესის დადგენის შესახებ სპეციალური დადგენილების მიღებას (WHO FCTC-ის 5.3 მუხლის განსახორციელებლად) 2018 წლის 1 მაისამდე.[118]

[118] საქართველოს პარლამენტი. *„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე,* 859-IIს. მიღებულია 2017 წლის 17 მაისს. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ნანახია 2023 წლის 18 ივნისს: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3676731?publication=2

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (NCDC), თამბაქოს კონტროლის ალიანსთან ერთად, მოამზადა აღნიშნული დადგენილების პროექტი. აღნიშნული პროექტი მთავრობის მიერ უნდა დამტკიცებულიყო 2018 წლის მაისამდე. დოკუმენტი დასამტკიცებლად პრემიერ მინისტრის ადმინისტრაციას 2018 წლის ივნისში გადაეგზავნა. სამწუხაროდ, **5 წლის შემდეგაც დოკუმენტი კვლავ განხილვის პროცესშია.** თამბაქოს კონტროლის ალიანსი ვარაუდობს, რომ შეფერხება მთავრობაზე ინდუსტრიის ძლიერი ზეგავლენის შედეგია.[119] საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა თამბაქოს კონტროლის კანონდებლობის აღსრულების საკითხზე მოსმენა 2019 წლის მარტიდან ივნისამდე გამართა. პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება და მიმართა მთავრობას თამბაქოს ინდუსტრიასთან მათი ურთიერთობების გამჭვირვალობის შესახებ დადგენილების დროულად მიღების თაობაზე, 2021 წელის 13 აპრილს.[120] [121] NCDC-მ განაახლა დოკუმენტზე მუშაობა 2022 წლის განმავლობაში და შეთანხმებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი 2022 წლის ბოლომდე აიტვირთა მთავრობის პორტალზე, თუმცა 2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ის ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია ფინანსთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციაში. ფინანსთა სამინისტრო ცდილობს თავიდან აიცილოს ყველა ახალი რეგულაცია, რომელიც გამჭვირვალეს გახდის მათი უწყების წარმომადგენელთა თამბაქოს ინდუსტრიასთან ურთიერთობებს, ასევე ეწინააღმდეგებიან თამბაქოს ინდუსტრიისაგან სამინისტროსათვის საჩუქრების გადაცემის აკრძალვას.						
12. მთავრობა მოითხოვს ინფორმაციის გასაჯაროების წესების დადგენას თამბაქოს ინდუსტრიის საწარმოების, შვილობილი კომპანიებისა და მათი სახელით მოქმედი პირების, მათ შორის, ლობისტების გამჟღავნების ან რეგისტრაციის შესახებ. (რეკომენდაცია 5.3)						**5**
მთავრობას არ აქვს დადგენილი არანაირი წესი თამბაქოს ინდუსტრიის საწარმოების, შვილობილი კომპანიების და მათი სახელით მოქმედი პირების, მათ						

[119] საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი (TV1). „თამბაქოს კონტროლის ალიანსი“ განცხადებას ავრცელებს. 2019 წლის 3 აპრილი: https://1tv.ge/news/tambaqos-kontrolis-aliansi-ganckhadebas-avrcelebs/

[120] საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების კონტროლის საბოლოო ანგარიში, 2019: https://parliament.leavingstone.club/storage/files/shares/naak/jandacva/tambaqo/angarishi.pdf

[121] საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N 455-IVმს-Xმპ, მიღებული 2021 წლის 13 აპრილს „თამბაქოს კონტორლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მდგომარეობის თაობაზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5148191?publication=0

შორის ლობისტების გამჟღავნების ან რეგისტრაციის შესახებ. სპეციალური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების პროცესი ჯერ კიდევ განიხილება სამთავრობო უწყებების მიერ, რომლის მიღება, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 5 წელზე მეტია ჭიანურდება.						
ინდიკატორი 6: ინტერესთა კონფლიქტი						
13. მთავრობა არ კრძალავს თამბაქოს ინდუსტრიის ან მათი ინტერესების გამტარებელი რომელიმე სუბიექტის მიერ შენატანებს პოლიტიკური პარტიების, კანდიდატების ან კამპანიების მიმართ ან არ მოითხოვს ასეთი შენატანების სრულად გამჟღავნებას. (რეკომენდაცია 4.11) 1 არასოდეს 5 დიახ						**5**
მთავრობა არ კრძალავს პოლიტიკური პარტიების მიერ შემოწირულობების მიღებას თამბაქოს ინდუსტრიის ან მათი ინტერესების გამტარებელი რომელიმე ორგანიზაციიდან.						
14. პენსიაზე გასული მაღალჩინოსნები თამბაქოს ინდუსტრიის ნაწილს წარმოადგენენ (ყოფილი პრემიერ-მინისტრი, მინისტრი, გენერალური პროკურორი). (რეკომენდაცია 4.4)					**4**	
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს (TIG) ოფისმა გამოიძია კორუფციული მოლაპარაკებები მაღალჩინოსნებსა და თამბაქოს ადგილობრივ მწარმოებლებს შორის. კორუფციული გარიგების მთავარი ავტორები იყვნენ ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და მულტიმილიონერი ივანე ჩხარტიშვილი და მისი ვაჟი მიხეილ ჩხარტიშვილი, რომელიც თამბაქოს ადგილობრივი მწარმოებელი კომპანია სააქციო საზოგადოება „თბილისი თამბაქოს“ ძირითადი მფლობელია.[122] ამის შემდეგ მმართველმა პარტიამ TIG გააკრიტიკა. მაშინ მმართველი პარტიის ხელმძღვანელმა და საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა ადგილობრივი თამბაქოს მწარმოებლების მხარდასაჭერად განაცხადა, რომ „გვინდა გვქონდეს იაფი						

[122] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. სს თბილისის თამბაქო. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ბოლოს განახლებულია 2022 წლის 25 ოქტომბერს. ნანახია 2023 წლის 12 ივლისს: https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFIK]x4xbV2HZQKVXM]x28kSE]LBok7xEJ7sefq3Rbeq2

სიგარეტი ბაზარზე, ამ პროდუქტის სპეციალური მაღაზიები...”[123] [124] [125] [126] ივანე ჩხარტიშვილი აგრძელებს ადგილობრივი თამბაქოს წარმოების ხელშეწყობასა და მოგების ზრდას.[127] PMI-მ გაზარდა თავისი ფინანსური მხარდაჭერა პოლიტიკოსებს შორის ბოლო სამი წლის განმავლობაში და ახლა მათ ჰყავთ რამდენიმე ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, ასევე მოქმედი პარლამენტის წევრები, რათა პოპულარიზაცია გაუწიონ მათივე ახალ HTP-ს, როგორც ე.წ. „თამბაქოს ზიანის შემცირების“ პროდუქტს.[128] [129] [130] [131] [132]						
15. <u>მთავრობის ამჟამინდელი მოხელეები</u> და მათი ნათესავები იკავებენ თანამდებობებს თამბაქოს ბიზნესში, მათ შორის საკონსულტაციო თანამდებობებზე. (რეკომენდაციები 4.5, 4.8, 4.10)				3		
ამჟამად არ მოიპოვება დოკუმენტები, რომლებიც ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლების ნათესავების პოზიციებს დააფიქსირებდა თამბაქოს ბიზნესში, მათ შორის საკონსულტაციო პოზიციებზე. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს						

[123] ქრონიკა +. „შეაჩერე კორუფცია“ მმართველ პარტიას „ქართულ ოცნებას“ ამხელს. 2018 წლის 29 სექტემბერი: http://qronikaplus.ge/?p=16669

[124] კვირის პალიტრა. ვანო ჩხარტიშვილის სიგარეტის საიდუმლო სქემა - გზა, რომელიც თამბაქოს ბიზნესი ფილტრიან სიგარეტს უფილტროდ ასაღებს. 2018 წლის 1 ოქტომბერი: https://www.kvirispalitra.ge/economic/46853-vano-chkhartishvilis-sigaretis-saidumlo-sqema-gza-romlithac-thambaqos-biznesi-filtrian-sigarets-ufiltrod-asaghebs.html

[125] საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო. კორუფციის კვამლი: დიდი განაწილება თამბაქოს ბიზნესში. 2018 წლის 26 სექტემბრი: https://www.transparency.ge/ge/blog/korupciis-kvamli-didi-ganacileba-tambakos-biznesshi

[126] OC Media. Georgia’s ruling party lashes out at NGOs over Omega tapes criticism. October10, 2018: https://oc-media.org/georgia-s-ruling-party-lashes-out-at-ngos-over-omega-tapes-criticism/

[127] Business Media Georgia. რამდენი მილიონის შემოსავალი აქვს ივანე ჩხარტიშვილის თამბაქოს ბიზნესს? 2022 წლის 20 სექტემბერი: https://bm.ge/ka/article/ramdeni-milionis-shemosavali-aqvs-ivane-chxartishvilis-tambaqos-bizness/116857

[128] ინტერპრესნიუსი. ჩვენ ყოველთვის ღია ვართ დისკუსიისათვის - სოციალური კვლევის ინსტიტუტი საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს მიმართავს. 2021 წლის 19 ივნისი: https://bit.ly/46canHt

[129] მედიაჰოლდინგი კვირა. „თამბაქოს ინდუსტრიამ სამედიცინო პერსონალზე ნადირობა დაიწყო - ექიმების მოსყიდვას ცდილობს“ – „თამბაქოს კონტროლის ალიანსი“. 2021 წლის 28 ივნისი: http://kvira.ge/669131

[130] Business Media Georgia (BMG). გიორგი (გიგი) წერეთელი თამბაქოს ზიანის შემცირებაზე. 2022 წლის 25 მაისი. ნანახია 2023 წლის 20 ივნისს: https://www.youtube.com/watch?v=msDcV-OzTVg

[131] The entrepreneur საქართველო. საერთაშორისო კონფერენცია: თამბაქოს ზიანის შემცირება: გამოწვევები და შესაძლებლობები 21-ე საუკუნეში. 2022 წლის 25 მაისი: https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendentsiebi/saertashoriso/428236

[132] იმედი ნიუსი. თამბაქოს კონტროლის ალიანსი: ბოლო ხანს, საგანგაშოდ მასშტაბურია თამბაქოს ინდუსტრიის მცდელობა, ახალი, ტექნოლოგიური პროდუქტების მარკეტინგი მედიკოსების ხელით აწარმოოს. 2022 წლის 21 მაისი: https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/250391/tambaqos-kontrolis-aliansi-bolo-khans-sagangashod-masshtaburia-tambaqos-industriis-mtsdeloba-akhali-teqnologiuri-produqtebis-marketingi-medikosebis-khelit-atsarmoos

დაფარული თამბაქოს ბიზნესის მიერ **და არ არსებობს რაიმე პროცედურა, ასეთი შეთანხმებების თავიდან ასაცილებლად ან გასასაჯაროებლად.** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მოქმედი მინისტრის მოადგილე, ბ-ნი ირაკლი ნადარეიშვილი, 2013-2016 წლებში იყო Imperial Brands-ის კომერციული დირექტორი საქართველოსა და მოლდოვაში.[133] ფინანსთა მინისტრის მოქმედი მოადგილე, ბ-ნი ზურაბ ძნელაშვილი, იყო საქართველოს ყოფილი ბიზნესომბუდსმენი 2016-2018 წლებში. ამ ხნის განმავლობაში მან თამბაქოს ინდუსტრიის მრავალი წინადადება წარადგინა მთავრობასა და პარლამენტში.[134]						
ინდიკატორი 7: პრევენციული ღონისძიებები						
16. მთავრობამ დააწესა თამბაქოს ინდუსტრიასთან და მის წარმომადგენლებთან შეხვედრების ჩანაწერების (როგორიცაა დღის წესრიგი, დამსწრეები, ოქმები და შედეგები) გამჟღავნების პროცედურა. (რეკ. 5.1)						**5**
არ არსებობს თამბაქოს ინდუსტრიასთან სახელმწიფო/საჯარო მოხელეების შეხვედრების ჩანაწერების (დღის წესრიგი, დამსწრეები, ოქმები და ა.შ.) გამჟღავნების პროცედურა.						
17. მთავრობამ ჩამოაყალიბა, დაამტკიცა ან დანერგა საჯარო მოხელეების ქცევის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს სტანდარტებს, რომლებსაც ისინი უნდა დაემორჩილონ თამბაქოს ინდუსტრიასთან ურთიერთობისას. (რეკომენდაცია 4.2); *1 მთელი სამთავრობო ქცევის კოდექსისთვის; 2 დიახ, მაგრამ ნაწილობრივი, თუ მხოლოდ MOH*					**4**	
მთავრობას არ მიუღია ან არ შეუსრულებია დადგენილება, რომელსაც შეიძლებოდა დაედგინა საჯარო მოხელეებისთვის ქცევის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავდა სახლემწიფო/საჯარო მოხელეების თამბაქოს ინდუსტრიასთან ურთიერთობის სტანდარტებს. დადგენილების პროექტი მომზადდა და 2018 წლის ივნისში გადაეგზავნა მთავრობას დასამტკიცებლად, რომელიც განახლდა 2022 წელს. თუმცა, დადგენილების პროექტი ჯერ კიდევ ელის საქართველოს მთავრობის მხრიდან დამტკიცებას. თამბაქოს კონტროლის ალიანსი საქართველოში ვარაუდობს, რომ ეს შეფერხება გამოწვეულია თამბაქოს ინდუსტრიის ზეგავლენით საქართველოს მთავრობაზე.[135]						

[133] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ნანახია 2023 წლის 5 მაისს: https://www.economy.ge/?page=deputy-ministers&deputy=73&fname=ირაკლი_ნადარეიშვილი

[134] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ნანახია 2023 წლის 5 მაისს: https://mof.ge/5281

[135] საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი (TV1). „თამბაქოს კონტროლის ალიანსი“ განცხადებას ავრცელებს. 2019 წლის 3 აპრილი: https://1tv.ge/news/tambaqos-kontrolis-aliansi-ganckhadebas-avrcelebs/

მთავრობა ვალდებული იყო, 2018 წლის მაისამდე მიეღო დადგენილება. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ "თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის საკანონმდებლო მოკვლევის (PLS) დროს მოსმენილ იქნა საკითხი ზემოაღნიშნული სამთავრობო დადგენილების მიღების პრობლემებთან დაკავშირებითაც, 2019 წლის მარტი-ივნისში. პარლამენტმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალური დადგენილება მიიღო 2021 წლის 13 აპრილს და რეკომენდაცია მისცა მთავრობას უახლოეს პერიოდში მოეხდინა მთავრობის შესაბამისი დადგენილების მიღება.[136] [137] NCDC-მ განაახლა მუშაობა მთავრობის დადგენილების პროექტზე 2022 წლის განმავლობაში და ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. ახალი პროექტი მზად იყო და აიტვირთა სამთავრობო პორტალზე 2022 წლის ბოლოს, თუმცა მას კვლავ სჭირდება თანხმობა მთავრობის ეკონომიკური გუნდისგან, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მიღებული.						
18. მთავრობა მოითხოვს თამბაქოს ინდუსტრიისაგან პერიოდულად წარუდგინოს ინფორმაცია თამბაქოს წარმოების, ბაზრის წილის, მარკეტინგული ხარჯების, შემოსავლებისა და ნებისმიერი სხვა საქმიანობის შესახებ, მათ შორის ლობირების, ფილანტროპიის, პოლიტიკური წვლილისა და ყველა სხვა საქმიანობის შესახებ. (რეკომენდაცია 5.2)				**3**		
არსებობს ნაწილობრივი მოთხოვნა თამბაქოს ინდუსტრიისგან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ, მაგალითად, საგადასახადო მიზნებისთვის. თუმცა, მარკეტინგული ხარჯების, შემოსავლების, ლობირების, პოლიტიკური წვლილისა და ფილანთროპიის შესახებ ანგარიშგების მოთხოვნა არ არსებობს.						

[136] საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი. „თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის აღსრულების კონტროლის საბოლოო ანგარიში, 2019: https://parliament.leavingstone.club/storage/files/shares/naak/jandacva/tambaqo/angarishi.pdf

[137] საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N 455-IVმს-Xმპ, მიღებული 2021 წლის 13 აპრილს „თამბაქოს კონტორლის შესახებ" საქართველოს კანონის აღსრულების მდგომარეობის თაობაზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5148191?publication=0

19. მთავრობას აქვს პროგრამა/სისტემა/გეგმა, რათა თანმიმდევრულად[138] აამაღლოს ცნობიერება თავის უწყებებში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის FCTC 5.3 მუხლის სახელმძღვანელო პრინციპებთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ. (რეკომენდაციები 1.1, 1.2)						**5**
მთავრობას არ აქვს პროგრამა ან გეგმა, რათა თანმიმდევრულად აამაღლოს ცნობიერება თავის უწყებებში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის FCTC 5.3 მუხლიის სახელმძღვანელო პრინციპებთან (გაიდლაინებთან) დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ.						
20. მთავრობამ შეიმუშავა პოლიტიკა თამბაქოს ინდუსტრიისგან ყველა სახის შენატანების/საჩუქრების (ფულადი თუ სხვა) მიღების აკრძალვის შესახებ, მათ შორის დახმარების შეთავაზება, პოლიტიკის პროექტების შემუშავება, ან სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობის შეთავაზება, რომლებიც შესთავაზეს მთავრობას, უწყებებს, ოფიციალურ პირებსა და მათ ახლობლებს. (3.4)						**5**
მთავრობას არ შეუმუშავებია პოლიტიკა თამბაქოს ინდუსტრიისაგან შემოწირულობების ან საჩუქრების მიღების აკრძალვის შესახებ, მათ შორის დახმარების შეთავაზების, პოლიტიკის პროექტების შემუშავების ან სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობის შეთავაზების აკრძალვის შესახებ.						
საერთო ქულა						**83**

[138] ამ კითხვის მიზნიდან გამომდინარე "თანმიმდევრულად" ნიშნავს: ა. ყოველ ჯერზე როცა განიხილება FCTC მუხლი 5.3-ის განმარტება და ბ. ყველა ჯერზე, როცა დგება ისეთი შესაძლებლობა, როცა აღმოჩენილია ან შეტყობინებულია თამბაქოს ინდუსტრიის მხრიდან ჩარევის შესახებ.

დანართი A: ინფორმაციის წყაროები

	TOP თამბაქოს კომპანიები/დისტრიბუტორები	ბაქრის წილი	ბრენდები	წყარო
1	PMI	40.8%		Euromonitor 2021
2	BAT	21.7%		Euromonitor 2021
3	JTI	20.7%		Euromonitor 2021
4	Imperial	6.7%		Euromonitor 2021

	ტოპ მედია/ გაზეთები	URL
1	მთავარი არხი	https://mtavari.tv
2	ტვ პირველი	https://tvpirveli.ge
3	ბიზნეს მედია საქართველო (BMG)	https://bm.ge
4	Georgia Today	https://georgiatoday.ge
5	Entrepreneur	https://entrepreneur.com
6	Forbes Georgia	https://forbes.ge
7	კომერსანტი	https://commersant.ge

	თამბაქოს ინდუსტრიის მთავარი მოკავშირეები/ მხარდამჭერი ჯგუფები	ტიპი *(მხარდამჭერი ჯგუფი, ლობისტური ჯგუფი, ინდივიდი)*	წყარო
1	საქართველოს ბიზნეს ასოციაცია	მხარდამჭერი ჯგუფი, ლობისტური ჯგუფი	bit.ly/3XQLDRh https://tobaccotactics.org/article/business-association-of-georgia/
2	საერთაშორისო სავაჭრო პალატა	მხარდამჭერი ჯგუფი, ლობისტური ჯგუფი	bit.ly/3XQLDRh
3	ქართულ მაღაზიათა ასოციაცია	მხარდამჭერი ჯგუფი	bit.ly/3XQLDRh
4	დავით სონღულაშვილი, დეპუტატი	ინდივიდი	bit.ly/3XQLDRh https://bit.ly/3PXatwI
5	გურამ მაჭარაშვილი, დეპუტატი	ინდივიდი	bit.ly/3XQLDRh
6	ირაკლი (დაჩი) ბერაია, დეპუტატი	ინდივიდი	bit.ly/3XQLDRh
7	ირაკლი მეზურნიშვილი, დეპუტატი	ინდივიდი	bit.ly/3XQLDRh
8	სულხან მახათაძე, დეპუტატი	ინდივიდი	bit.ly/3XQLDRh
9	ისკო დასენი, დეპუტატი	ინდივიდი	https://bit.ly/3PXatwI
10	გელა სამხარაული, დეპუტატი	ინდივიდი	https://bit.ly/3PXatwI
11	გოჩა ენუქიძე, დეპუტატი	ინდივიდი	https://bit.ly/3PXatwI

12	გიორგი (გიგი) წერეთელი, დეპუტატი, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი	ინდივიდი	bit.ly/3qu4aqf https://www.youtube.com/watch?v=msDcV-OzTVg
13	ანდრია ურუშაძე, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი	ინდივიდი	http://kvira.ge/669131 bit.ly/3rxrd3G
14	ზურაბ ჭიაბერაშვილი, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი	ინდივიდი	bit.ly/3rxrd3G
15	ლევან ჯუღელი, ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე	ინდივიდი	bit.ly/3rxrd3G
16	გიორგი მჟავანაძე, ეკონომისტი	ინდივიდი	bit.ly/3XQLDRh https://georgiatoday.ge/smoking-behavior-and-risk-perceptions-in-georgia-results-of-2022-survey/ https://bit.ly/3NV1CJn
17	სოციალური კვლევების ინსტიტუტი (ISR)	მხარდამჭერი ჯგუფი	https://www.isr.ge/tobacco-harm-reduction bit.ly/46canHt